№ 2784
ოთხშაბათი,
30 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2784
ოთხშაბათი
30 მარტი

გამოწერის: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა-დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ძმ. ნიკიტინების ცირკი.
ოთხშაბათს, 31 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება ორი კავკასიური ჭიდაობა. ცნობილი ფალავანი ჯიბგირი დაეჭიდება გორელ ფალავანს ივანე ქრისტიაშვილს. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი ალექსი აივაზოვი დაეჭიდება ფალავანს გიორგი დვალის. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს 8¼ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

სამღვდელოების საყურადღებოდ
დაიბეჭდა და იყიდება „მარხვანი“ ხუცურ ასოებით, სიონის სობოროს მღვდელ ალექსანდრე სიმონოვთან. ფასი 5 მანეთი. (3—2)

სასტალრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა
იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—6)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა
„კოლხიდა“-სთან
იყიდება: ნერგები დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). თესლეულობა—აბრეშუმისა (თეთრი და ყვითელი), ბამბისა, ბოსტნეულისა, და სხვა. შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—8)

საარტისტო საზოგადოების თეატრი
პარასკევს, 1 აპრილს, გაიმართება სომხურ ენაზე
კონცერტი
კომპოზიტორ-რეგენტის ირქიმანდრიტის მამა
კომიტასისა
ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა აკადემიის კაპელლას მონაწილეობით. ეს კაპელლა 60 კაცისაგან შესდგება.
დაწვრილებითი პროგრამმა გაიყიდება თეატრის შესავალში. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები არავის არ დაეგზავნება, არამედ გაიყიდება თეატრის კასსაში დილით 10-დან 2-მდე, საღამოთი 6 საათ. (2—137—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ჩიჩინაძე. კბილის 8—9 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ხახისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაპაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ა. მ. მაჭახელოვი. შინაგ. და ბავშ. 12—1.
ა. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. ზაქაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში [illegible] 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (307—28—3)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: [illegible] (№ 32) და ხიდი-ს (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 ხდ საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი.

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობისა, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—18).

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—19)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახ. პირდაპირ № 13. (60—28—46)

ბათუმიდან
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—44)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

28 მარტი

ბერლინი. პრინც ლეოპოლდ პრუსიელის მოგზაურობა პეკინით გათავდება. ვლადივოსტოკის გზით მოგზაურობა შეუძლებელი ხდება; შეუძლებელია აგრეთვე იაპონიის პოზიციებზეც გავლა. პრინცი კიაოჩაუში აპირობს წასვლას, აგრეთვე მოივლის ჩინეთს.

სინგაპური, 28 მარტი. გუშინ ბალტიის ესკადრა შეამჩნიეს 20 მილის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით პულომენტიდან, რომელიც 150 მილზეა აღმოსავლეთით სინგაპურიდან. გასულ ღამეს პარასკევს შეამჩნიეს 4 ორ მილიანი გემი კონცხ ს.-ჟაკთან. ეს გემები, როგორც ეტყობოდა, იაპონიის უნდა ყოფილიყვნენ.

ამსტერდამი. თანახმად ბატავიიდან მიღებულ დეპეშისა, ჰფიქრობენ, კუნძულ ბანკასთან დანახულ ესკადრას შეადგენენ დიდი ჯავშნოსნები, რომელნიც გამოშორებიან სინგაპურთან ყოფილ ესკადრას.

ლონდონი, 28 მარტი. რუსეთის ფლოტის ჩინეთის წყლებში ეგრეთ მოულოდნელმა გამოჩენამ სრულებით შესცვალა ის აზრი, რომელიც დღემდე არსებობდა ლონდონში როჟესტვენსკის ღირსება-ნაკლულევანების შესახებ. ეხლა მას ისე აღარ დასცინიან აქ, როგორც ამას დოგერბანკათან მომხდარ ინციდენტის შემდეგ შვრებოდნენ, პირიქით, რუსის ადმირალს, რომელმაც შესძლო, მიუხედავად ცუდ პირობებისა, დაუზიანებლად მიეყვანა დიდი ფლოტი ასეთ შორე წყლებში, ღრმა პატივისცემით იხსენიებენ.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, დელკასე ჯერ არ ჰფიქრობს ხელი მიჰყოს მაროკოს შესახებ მოლაპარაკების საქმეს.

კოვნა. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, შეუერთდეს მოსკოვის საქალაქო საზოგადო მმართველობის შუამდგომლობას სრულიად რუსეთის ქალაქთა თავების სიეზდის გამართვის შესახებ და კომისია აირჩია პროგრამის შესამუშავებლად.

პარიზი. „მატენ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, გრაფ ბიულოვის ახლო მეგობარმა განაცხადა, იმპერატორ ვილჰელმს, მაროკოს ინციდენტის გამოწვევით, სურდა დელკასეს ჩამოგდებაო.—საფრანგეთის საპოლიტიკო წრეები არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ იმ ხმებს, ვითომც ინგლისის მეფე, მოგზაურობის დროს, ტანჟერშიც მივაო.

ტუნისი. მოიპარეს 20 ყუთი, რომლებშიაც 400 კილოგრ. დინამიტი იყო. მცხოვრებლები აღელვებული არიან. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

პორტ-მაჰონი. აქ ინგლისის მეფე და დედოფალი მოვიდნენ და ორ დღეს დაჰყოფენ.

მოსკოვი, 28 მარტი. მოსკოვის კონსერვატორიის დირექციამ განუცხადა მოსწავლეებს, მიმდინარე წელს მეცადინეობა აღარ იქნება კონსერვატორიაში. გადასასვლელი გამოცდები არ იქნება. გადაიყვანენ ერთი კურსიდან მეორეზე წლიურ ნიშნების მიხედვით. გასათავებელი გამოცდები კი აგვისტოს მეორე ნახევარში გაიმართებაო.—ის კომისია, რომელსაც მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ დონისძიებათა გამონახვა და შემუშავება აქვს მინდობილი, იწვევს ქალაქებისა და საერობო დაწესებულებათა წარმომადგენლებს მონაწილეობის მისაღებად. ჩქარა კრება ექნებათ რაიონების საფაბრიკო ინსპექტორებს. კრებას მიზნათ აქვს შეადგინოს მისცეს მუშებს, ისე-კი, რომ წარმოებას ზარალი არ მოუვიდეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 მარტი.

პარიზი. „ფიგარო“ და „ჟურნალ“-ი გმობენ როჟესტვენსკის ესკადრის ჩინეთის ზღვაში გამოჩენაზე და ამტკიცებენ, ზღვის ბრძოლის შედეგი საბოლოოდ გადასწყვეტს ომის საქმესო.

სინგაპური, 28 მარტი (რეიტ.). გუშინ პულომენტიდან 20 მილის მანძილზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბრიტანიის გემ „გრეგორი აპკარ“-ს დაუნახავს ბალტიის ესკადრა; პულომენტი 150 მილის მანძილზეა სინგაპურიდან. გემ „რადნოშირა“-ს დაუნახავს ბალტიის ესკადრა გუშინ 5 მილის მანძილზე პულოდძარიდან; ესკადრა პულომენტისკენ მიემართებოდა. როჟესტვენსკის გეგმებზე სხვა-და-სხვანაირი აზრი არსებობს; ყველაზე უფრო ის აზრია გავრცელებული, რომ როჟესტვენსკის აზრად არ აქვს, რაც შეიძლება, ჩქარა შეეზრძოლოს მტერს; ის მოინდომებს, როგორმე, ვლადივოსტოკს მივიდეს, ანა და გზა-დაგზა რომელიმე ნავთ-სადგურს იგდოს ხელთ. ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი ეცდება დასტოვებს ჩინეთის წყლებს და აღმოსავლეთით გაემართება ფილიპინის კუნძულებიდანო.

ნაგასაკი, 28 მარტი. („რეიტ.“). საპრიზო სამსჯავროში სასებოში უშედეგოდ დასტოვა ბრიტანიის გემების „როსლი“-სა და „ლეკინგტონ“-ის პატრონების საოპელაციო საჩივრები. ხსენებული გემები დაიჭირეს, როცა ისინი ვლადივოსტოკისკენ მიდიოდნენ. როგორც გემები, აგრეთვე ტვირთი მიითვისეს.

ბატავია, 28 მარტი. ხმებია, ვითომც რუსეთის გემები კუნძულ ბანკიდან მუნტოკთან ახლოს შეემჩნიოთ. ჰოლანდიის ესკადრას, რომელიც პრიოკში იდგა, კუნძულ იავასთან, საიდუმლო ბრძანება მოუვიდა და იგი საჩქაროდ ჩრდილოეთისაკენ გაემართაო.

ლონდონი. როგორც პრესაში, აგრეთვე საზოგადოებაში დიდი აღელვებაა როჟესტვენსკის ესკადრის შესახებ მოსულ ცნობების გამო. „ტაიმს“-ი ამბობს, რუსეთს განზრახვა აქვს განაგრძოს ომიო. „დეილი ტელეგრაფ“-ის აზრით, როჟესტვენსკიმ სრულის მშვიდობიანად გავლით დაამტკიცა, რომ შეიძლება მას კარგი მეზღვაურის სახელი ეწოდოსო. საერთო აზრით, იაპონიის ესკადრა როჟესტვენსკისას იაპონიის ახლო მოელოდება. „გრაფიკ-დეილი-ნიუს“-ი ამბობს, იაპონია ვეღარ განაგრძობს ომს, თუ როჟესტვენსკიმ გაიმარჯვაო.

ლონდონი. უკანასკნელ ხანებში ინდოეთის მთავრობა ძლიერ შეწუხებულია, რადგანაც ელოდებიან, შესაძლებელია ინდოეთს თავს დაესხანო. თუმცა ლონდონის კაბინეტი არ უჯერებს ამას, მაგრამ პრესა გამუდმებით ითხოვს, მთავრობამ უფრო ენერგიული ზომები მიიღოსო.

რიგა. 28 მარტი. გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი, რომელთა ძალით აკრძალულია თავის მოვლა და იარაღის ხმარება და შენახვა.

ლიბავა. გუშინ საღამოს სამმა „ხულიგან“-მა 9 ჯერ ესროლეს ციხის უფროსს რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ. შემდეგ შეიპყრეს ერთი საეჭვო პირი.

რომში, 28 მარტი. რეალურ სასწავლებელში, ლოცვის დროს, ავეთქება მოხდა. დაშავდა ოთხი მოსწავლე. ზალის ფანჯრები ჩაილეწა.

ჟურნალ გაზეთებიდან

შუა მანჯურიაში. გენ. ხარკევიჩი იუწყება 26 მარტის თარიღით: არმიებში ცვლილება არ მომხდარაო.

საყურადღებოა ნიუ-ჩუანიდან მიღებული დეპეშა: ცაცკარში დიდძალმა ხუნხუზმა მოიყარა თავი და რკინის გზის დანგრევას აპირობსო.

ხარბინიდან „რუს“-ს ატყობინებენ 21 მარტის თარიღით: ჯარის ფრონტზე წინანდებური სიწყნარეა და მხოლოდ მიშჩენკოს რაზმს ყოველ დღე შეტაკება მოსდის იაპონელებთან. ჩინელები ამბობენ, იაპონელები უმთავრეს ჯარს პატარ-პატარა რაზმებად აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ჰგზავნიან, მაგრამ ამავე დროს რაზმები ფრთებიდან ცენტრისაკენაც მიჰყავთო. მგონია, რომ იაპონელების გალაშქრება გირინისაკენ მხოლოდ დემონსტრაცია იყოს, მაგრამ მალე გამოჩნდება იმათი პლანი. ამბობენ აგრეთვე, რომ იაპონელებმა ციციკარისაკენაც გაგზავნეს ცხენოსანი რაზმებიო. ბოლოს დროს ხუნხუზებიც ალარსად სჩანან. ფურაჟისა (ცხენების საკვები) და პროვიანტის ფასმა ძლიერ აიწია: ეხლავე უნდა თადარიგი დაიჭირონ და არმიისათვის საზაფხულოდ საკვები სურსათი დაამზადონ. მუკდენსა, ხუშიტაისა, ტელინსა, კაიუანსა და ჩანტუფუში დიდძალი სურსათი დაიწვით და დავტოვეთ და ეხლა გვიჭირდება სურსათის შოვნაო.

ცნობილ პოლკოვნიკ გედკეს აზრით, იაპონელების გალაშქრება ციციკარისაკენ მეტად დიდ განსაცდელში ჩააგდებს რუსის ჯარს, ამიტომ გენ. ლინევიჩმა უმთავრესი ყურადღება იაპონიის მარცხენა ფრთის (გენ. ნოგის არმიის) მოქმედებას უნდა მიაქციოს და რუსის არმიას ეს მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აიცილოს. („ნ. დ.“).

იგივე გედკე სწერს „ნოვოსტი დნია“-ში: აგერ რამდენიმე კვირაა, რაც იაპონელები ხარბინ-ციციკარის რკინის გზის დანგრევას ცდილობენო.

გენ. ნადაროვმა ხალხს აუკრძალა ხარბინიდან წასვლა, რადგან ხარბინში ეხლავე არ იშოვება მუშაო („ს.“.).

ვლადივოსტოკი. „ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: პარიზში ცნობა მიიღეს, რომ იაპონელები ეხლა ცდილობენ, ვლადივოსტოკს გზა მოუჭრან. ამისათვის კორეიდან ჩრდილოეთისაკენ დიდი ჯარი მიდის და თანდათან უკან აჩევინებს რუსის მოწინავე რაზმებსაო. ხმა დადის, იაპონელებმა მთელი საალყე არტილერია, სხვათა შორის, რუსის ზარბაზნებიც პორტ-არტურიდან ვლადივოსტოკისაკენ გაგზავნესო. იაპონელები ბეჯითად ემზადებიან ვლადივოსტოკის ასაღებადაო. („ნ. დ.“).

მე-5 მსროლელთა პოლკის ბედი. „ბირჟ. ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ გუნჩჟულინიდან: დღემდე არ იციან, რა მოუვიდა მე 5 მსროლელთა პოლკს. ეგონათ, ალბად, აფიცრები ტყვედ დაიჭირეს იაპონელებმაო, მაგრამ ამ დღეებში ერთმა აფიცერმა ცნობა გამოგზავნა მუკდენიდან, აქ მარტოკა ვარ და მე-5 პოლკის სხვა აფიცრები მუკდენში არ მინახავსო. („ო. ნ.“).

პეტერბურგში. „მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან 19 მარტის თარიღით: აქ ძნელია რისამე გაგება ომზე; მხოლოდ ის შევიტყე, რომ მარშალ ოიამას საიდუმლო მოქმედება ძლიერ აფიქრებს რუსის არმიასაო. ცხადია, რომ იაპონიის არმია გირინისა და ციციკარისაკენ მიდის... მარშალი ოიამა ისე იქცევა, თითქო ბევრ წელიწადს აპირობდეს ომსა, აქ-კი, რუსეთის მთავრობის წრეებს გაუბედაობა ეტყობა. ყვირიან, რუსეთი ომს განაგრძობსო, მაგრამ არავის არა სჯერა ეს; საზოგადოებას შერიგება ჰსურს, მაგრამ არავინ არას არიგებს ზავის ჩამოსაგდებადაო.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი არწმუნებს, ბეჭდვით საქმის უმთავრეს გამგეობის უფროსმა პეტერბურგის გავრცელებულ გაზეთებს სთხოვა, ეუხსენით რუსის საზოგადოებას, რომ რუსეთმა აუცილებლად უნდა განაგრძოს ომიო („რ. ს.“).

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“ № 83)

6—9 თებერვალამდე ბაქოს მომხდარ ამბების შემდეგ ტერორისტებმა პროკლამაციები გაავრცელეს ქალაქში, რომლებშიაც გამოცხადებული იყო, კომიტეტმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ბაქოს გუბერნატორს თავად ნაკაშიძეს და პოლიციის მოხელეებს—პოლიცმეისტერს კაპიტან დემინსკის, ბოქაულ კაპიტან მამედბეგოვს, ბოქაულის თანაშემწეს სულთანოვს და უბნის ზედამხედველებს—თავად მიქელაძეს და შახტატინსკის.

16 მარტს მოჰკლეს უბნის ზედამხედველი მიქელაძე. დილის ცხრა საათზე მიქელაძე მიდიოდა ეტლით პოლიციელ იერემეიშვილთან ერთად. დიდ ქუჩაზე, რომელიც ჩერნი გოროდში მიდის, ეტლს თავს დაესხა ექვსი შეიარაღებული კაცი, რევოლვერით მოჰკლეს სიავადი მიქელაძე და პოლიციელი. ეტლის ორსავე მხრიდან დაეცნენ იმათ ბოროტ-მოქმედნი და სროლის დროს ერთი ბოროტ-მოქმედთაგანი დასჭრა მისმა ამხანაგმა და ძვალი გაუტეხა. სხვა ამხანაგებმა გამოართვეს დაჭრილს რევოლვერი და გაიქცნენ. დაჭრილმა გამოაცხადა თავისი ვინაობა—ვვარად გურჯიძე ვარო. იმავე საღამოს გურჯიძის სადგომში დაიჭირეს იმისი ამხანაგი, რომელიც მასთან სცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები გვარად ცისკაროვი. ამ რამდენიმე დღის წინად ბოქაულს მამედბეგოვს შეატყობინეს, გუბერნატორის ბაღის ახლოს რამდენიმე საეჭვო კაცი ვიღაცას უდარაჯებს, ალბად გუბერნატორსაო. 22 მარტს იმავე ბოქაულს აცნობეს, იგივე კაცები ვიღაცას უდარაჯებენ სადოვაი ქუჩაზეო. მამედბეგოვი გაემართა აღნიშნულ ადგილისაკენ და დაინახა ექვსი კაცი, რომლებიც სკამზე ისხდნენ; ოთხი მათგანი წამოდგა და გაზზე გადადგა, ორი კი სკამიდან არ ამდგარა. ბოქაული მიუახლოვდა იმათ და გამოუცხადა, პოლიციაში გამომყევითო, რაზედაც თანხმობა გამოაცხადეს. როცა საპოლიციო განყოფილებას მიუახლოვდნენ, დაჭერილებმა რევოლვერები გამოიღეს და დაუშინეს ბოქაულს და ამავე დროს გავარდა რევოლვერი ბოქაულის ზურგს უკან. მამედბეგოვმა კისერში სტაცა ხელი ერთ დაჭერილთაგანს და კარებში შეაგდო. სროლის ხმა რომ გაიგონეს, თათრებმა მოიყარეს თავი და დაიჭირეს მეორე კაცი, რომელიც დაჭრილი აღმოჩნდა. ამ დაჭერილთა მესამე ამხანაგი თათრების ხელმძღვანელობით დაიჭირეს გუბერნატორის ბაღის ახლოს. მეოთხე ბოროტ-მოქმედს გამოედევნენ თათრები და პოლიციის დარაჯები და მოჰკლეს. ქალაქ ყუბის მცხოვრები, რომელიც მამედბეგოვს ახლდა, ტყვიით დაჭრილია მუცელში. დაჭერილები და მათი მოკლული ამხანაგი—სომხები არიან. თვითეულ მათგანს ჰქონდა ორი დიდი რევოლვერი და პატრონებით სავსე პატრონტაში. იმ ადგილას, სადაც ყველა ეს მოხდა, დაუყოვნებლივ წავიდა ბაქოს დროებითი გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც დაინახა საპოლიციო განყოფილებასთან თავ-მოყრილი თათრების დიდი ბრბო. თათრები ძლიან აღელვა იმ გარემოებამ, რომ მამედბეგოვის მოკვლა მოიწადინეს ბოროტ-განმზრახველებმა. მამედ-ბეგოვი თათარია, ადგილობრივი მცხოვრები, და თათრებს შორის დიდი გავლენა აქვს. თათრები ძლიერ აღელვებულნი იყვნენ. როცა გენერალ-გუბერნატორი თავადი ამილახვარი მიუახლოვდა თათრების ბრბოს და ურჩევდა დაშლილიყვნენ, უთხრა, ამ საქმეს გაარჩევენო, ხალხში გაისმა ყვირილი: „როდემდის უნდა ვიცადოთო!“ თუმცა ძლიერ აღელვებული იყო, მაგრამ მაინც თავ დაჭერილად იქცეოდა ხალხი, პატივის ცემით მოეკიდა გენერალ-გუბერნატორს და დაშლა დაიწყო. გავლენიანი კაცები დადიოდნენ ქალაქში ხალხის დასამშვიდებლად, რომელიც შფოთავდა და დუქნებს ჰკეტავდა. ამავე დროს ზომები მიიღეს, გააძლიერეს ქალაქში პატრულებისა და დარაჯების რაზმები.

სოფლად

გურია. ქ. ოზურგეთში დაბანაკებულ ჯარის უფროსმა გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ 23 მარტს ოზურგეთის მაზრის ყველა დაბაში ჩააყენა ჯარი და გააკრა შემდეგის შინაარსის განცხადებები: „საღამოს 8 საათიდან მეორე დილის 8 საათამდე ვაჭრებს აეკრძალათ ვაჭრობა. აეკრძალათ დაბინდების შემდეგ ქუჩაში გასვლა და სხვა. ვინც ამას არ შეასრულებს ისინი დასჯილ იქნებიან“, ამავე დღეს, მისივე განკარგულებით, დაპატიმრებულ და ტფილისის მეტეხში იქნა გაგზავნილი ექვსი ადგილობრივი მცხოვრები, რომელთაც სახელი და გვარი გაზეთებში უკვე იყო მოხსენებული. 25 მარტს სოფელ გურიანთიდან ჩამოიყვანეს რვა კაცი, რომელიც ჯერჯერობით ოზურგეთის საპყრობილეში სხედან. გაიგზავნა სხვა-და-სხვა სოფლებში ათასამდე ყაზახ რუსი.

24 მარტს ს. გურიანთაში შუა დღისას ვიღაცამ მოჰკლა ადგილობრივი მცხოვრები ნიკოლოზ გოხიძე. როგორც ამბობენ, გოხიძე პირადმა მტრებმა მოჰკლეს.

ამავე დღეს ალიხანოვის ჯარს გამოაკლდა ორასი ცხენოსანი ყაზახ-რუსი და გაიგზავნა ქ. გორში. ხმა დადის, სალდათები ყველა გაიგზავნება ოზურგეთიდან და იმათ მაგივრად გამოგზავნიან დონის ყაზახ-რუსებსო.
სილია

სოფ. შროშა (ზემო იმერეთი). 25 მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე, ადგილობრივ სკოლის ეზოში თავი მოიყარეს ამ სოფლის მცხოვრებლებმა და დაიწყეს მსჯელობა თავის ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. როგორც მეზობელსა და ბევრ სხვა სოფელში, აქაც აირჩიეს წესრიგის დამცველებად და შინაურ საქმეების გადასაწყვეტად წარმომადგენლები. დაადგინეს ყოველივე კავშირი გასწყვიტონ ადმინისტრაციასა და პოლიციასთან, რადგან არც ერთიდა არც მეორე არ უახლოვდებოდა ხალხს, არ ტკბილობდა მის ავსა და კარგს, მის ჭირსა და ვარამსაო. კრების მიერ არჩეული პირებს იმ დღესვე მიმართა რამდენმე კაცმა თავის საქმეების გასარჩევად.
—ძე.

ლეჩხუმი. ძნელი წარმოსადგენია რანაირად ვრცელდება გლეხთა მოძრაობა. თითქმის მთელი ლეჩხუმის საზოგადოება გაფიცულია. უბრალო გლეხი, რომელიც თავის სიცოცხლეში ლეჩხუმს არ გაშორებია და ქუთაისიც არ უნახავს, შეგხვდება თუ არა, მა-

შინვე მოგაძახებს: „გაუმარჯოს ერთობასო". რამდენსამე საზოგადოებაში სოფლის სასამართლოები გადასწვეს, ალაგ-ალაგ-კი საქმის ქაღალდები დასწვეს. დაითხოვეს მამასახლისი, მწერალი და სოფლის მმართველნი. ეხლა ესენი სიამოვნებით-და იგონებენ მხოლოდ მსუქან-მსუქან დედლებს და წითელ ღვინოს. ამას წინად ერთ სოფელში მაზრის უფროსის თანაშემწე იყო. მაზრის უფროსმა უთხრა გლეხებს: „თქვე უბედურებო, ვის უჯერებთ! თქვენში რომ დაეთრევიან, ისინი უსაქმურები არიან და მეტი რა საქმე აქვთ, თუ მავნე აზრები არ გავრცელეს. ის კი არ იცით, თქვენ რა უბედურება მოგელით: ყაზახ-რუსები სახლში ჩაგიდგებიან და ყოველ გვარად მოგსპობენო". ამაზე უპასუხეს: ჯერ ერთი—ჩვენ შორის არავინ არ დაეთრევა; რაც შეეხება იმას, რომ მოგვსპობენ, მეტი რაღა უნდა დაგვემართოს—მოსპობილნი ვართ და ის არის! თვითეულს ერთი მეორეზე ორ-ორ, სამ-სამი ფუთი სიმინდი თუ გვექნება და თითო-ოროლი ხარი, და როცა ჩვენ და ყაზახები შევჭამთ ყველაფერს და აღარ გვექნება, მოგვშორდებიან, აპა რას იზამენო. გლეხებმა უარი სთქვეს ყოველგვარ გადასახადზე, როგორც სოფლისა, ისე სახაზინოზე. ამოირჩიეს წარმომადგენელნი, ასის თავები და ათის თავები. 25 მარტს შეიკრიბა მთელი ლაილაშის საზოგადოება დილით ეკკლესიაზე, ხოლო საღამოთი—სასოფლო სასამართლოს გალავანში. როცა თავიანთ გაჭირვებაზე ლაპარაკი გაათავეს და კაცები ამოირჩიეს, ახალგაზდობამ გააფრიალა დროშა, ბოქაულის და მის თანაშემწის სახლამდის მივიდა და დაიშალა. პოლიციას არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევია. არა ნაკლები მღელვარება ემჩნევა რაჭის მაზრასაც.

ვ—ნი.

—

დუშეთი. 27 მარტს დუშეთის განაპირა მაღლა გორაკზე შეიკრიბნენ თავიანთ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად დუშეთის მცხოვრებნი. ბევრის ბაასის შემდეგ გადასწყვიტეს აარჩიონ 24 კაცი, რომელთაც უნდა მოთხოვნილებათა პირობები შეადგინონ. ხალხში მითქმა-მოთქმა იყო, რომ ამ დღესვე ვითომ დუშეთში უნდა შეყრილიყო ახლო-მახლო სოფლებიდან მომავალი ხალხი თავის საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად. ამ მითქმა-მოთქმამ პოლიციაც დააფაცურა.

დ—ლი.

—

კახეთი. ჯერ-ჯერობით გლეხთა მოძრაობა ეტყობა იმ სოფლებს, სადაც თავად-აზნაურობა სცხოვრობს და საუფლისწულო უწყების მამულში. 26 მარტს ნაფარეულ ართანაში და სოფ. წინანდალში თელავიდან ჯარი გაიგზავნა. ხმებია, ტფილისიდან ყაზახები მოდიანო.

კიდევ.

—

სოფ. ხელთუბანი. ამ დღეებში აქ დააპატიმრეს გიგა სტეფანაშვილი, გიგა ფაილაშვილი და ნაცვალი სანდრო მიქაზაშვილი. ყველა ესენი გაგზავნეს გორში. ადგილობრივი სკოლა დახურულია და სწავლა არა სწარმოებს.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ექსარხოსი** პირველ აპრილს მიემგზავრება დ. ახალ-სენაკში. 2 აპრილს ექსარხოსი ახალ-სენაკში ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელს რევიზიას უზამს და სხვა სასწავლებლებს ინახულებს, ხოლო 3 აპრილს აკურთხებს ახლად აშენებულ ახალ-სენაკის სობოროს. ტფილისში ექსარხოსი 4 აპრილს დაბრუნდება.

◆ 28 მარტს ტფილისის ქალაქის **სამღვდელოებას კერძო თათბირი ჰქონდა.** კრებამ დაადგინა, შეუერთდეს იმერეთის სამღვდელოების გადაწყვეტილებას და აღძრას შუამდგომლობა, რომ საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიას დაუბრუნდეს ძველი უფლებები. ამ ცოტა ხანში სურთ მოიწვიონ ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრება.

◆ 28 მარტს საღამოთი **საშინელი ქარიშხალი ამოვარდა** როგორც ტფილისში, ისე ახლო-მახლო ადგილებში. კახეთის გზატკეცილზე ეტლებისა და დილიჟნების მიმოსვლა ამ ქარიშხალის გამო თითქმის შეჩერდა. დაზარალდნენ ის ეტლები, რომელთაც ქარმა მოატანა და თავი ვერსად შეაფარეს. ორხევსა და სართიჭალას შუა ბევრი ფურგუნი დალეწა ქარმა. ვაზიანს მახლობლად ქარმა გადააბრუნა მგზავრებით სავსე ომნიბუსი. მგზავრები დაშავდნენ.

◆ გუშინ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა მიწათმოქმედების რწმუნებულს, ნება დართოს საზოგადოებას **უბაჟოდ შემოიტანოს** საზღვარ-გარეთიდან 2700 ფუთი გოგირდი.

◆ **ფოთი.** როგორც უკვე იცით, 26 მარტს გაძარცვეს აქაური საურთიერთო ნდობის ბანკი. დილის 10½ საათი იყო, როდესაც საზოგადოების კასაში შევარდა ცხრა კაცი, მოკლე ბერდანებით შეიარაღებული. მართალია, ავაზაკებს კარებთან შეიარაღებული ყარაული შეებრძოლა, მაგრამ მალე დამორჩილდა, რადგან ცხრა კაცთან ერთი ვერას გახდებოდა. ერთი კაცი იმ ოთახისაკენ გაექანა, სადაც ტელეფონია გამართული. აქ ავაზაკმა მარდად ტელეფონის მავთულები დასჭრა, შემდეგ ბელადის წინამძღოლობით შევარდნენ კასაში, მაგრამ მიმალული კასირი რომ ვერ იპოვნეს, სხვებს მოსთხოვეს გასაღები. კასირმა გააღო კარები. ყაჩაღთა ერთი ნაწილი კასას მივარდა, სხვები იქ მყოფ პირებს ძარცვავდნენ. დამსწრეთაგანში ვაჭარს დ. პილოდის წაართვეს ფულად 13 მან. და 200 მანეთად ღირებული ოქროს საათი თავის ძეწკვით. იქვე გაძარცვეს ვ. პლოხოტნიკოვი. შემდეგ შეიჭრნენ საკრედიტო დაწესებულების მცველის ფ. კობალაძის ოთახში, სადაც გასტეხეს კამოდი, მაგრამ საკბილო შიგ ვერაფერი იპოვეს. დაბოლოს ავაზაკნი წავიდნენ. წაიღეს კასიდან ფულად 7000 მანეთამდის და 8000 მანეთის სარგებლიანი ქაღალდები. დღეს მეორე დღეა მას შემდეგ, მაგრამ პოლიციას ქურდების კვალისათვისაც ვერ მიუგნია.

◆ 28 მარტს ტფილისის **ქალაქის საბჭომ** განიხილა ტფილისის მეეტლეთა საერთო განცხადება. საბჭომ დაადგინა: 1. იმის გადასაწყვეტად, ეპატიოთ თუ არა ნედოიმკები მეეტლეებს, ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც მოიწვევს მეეტლეთა წარმომადგენლებს და მათთან ერთად შეიმუშავებს მოხსენებას; 2. ცხენებზე დაწესებული გარდასახადი წელს დარჩეს ისე, როგორც არის, ხოლო მის დაკლების შესახებ მოხსენება განხილულ იქნა 1906 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავების დროს; მიეცეთ ნება მეეტლეებს 1 მაისამდე როცა უნდათ, მაშინ გაიტანონ ქალაქის გამგეობიდან ნომრები ეტლებისათვის; 4. გაუქმდეს ქალაქში ეტლებზე დაწესებული ნიხრი, ხოლო არსებული ნიხრი თითო საათით მოსიარულეთათვის და სადგურამდე დარჩეს დროებით და 5. დაევალოს გამგეობას შეიმუშაოს მიმოსვლის ნიხრი ქალაქის განაპირა ადგილებისა და რკინის გზის სადგურამდე.

◆ მოგვივიდა **ახალი გამოცემა** „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა" (№ 67)—„კატალოგი" „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავისა", შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ. „კატალოგი ვრცელია, შეიცავს 366 გვერდს და ღირს სამ აბაზად.

◆ წარსულ კვირას დუშეთში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე თიანეთის მაზრის მცხოვრებთა ქვრივის სიდონია თურქიაშვილისა და ბაბარა ხანდოლისა, რომელთაც უკანონოდ შობილ შვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. როგორც გამომძიებელთან, ისე სასამართლოშიაც ს. თურქიაშვილისას თავისი დანაშაული უღიარებია და უთქვამს, რომ ვცხოვრობდი მახარა ხანდოლთან, რომელმაც როცა შემატყო ფეხმძიმობა, მუქარა დაიწყო, როცა ბავშვი გეყოლება, დაახრჩვე და მიწაში ჩაფალი, თორემ ცოცხალი ვერ გადამრჩებიო. ქალს მართლაც შეუსრულებია. ხანდოლმა სასამართლოში განაცხადა, რომ ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ვარო. სასამართლომ ხანდოლი გაამართლა, ხოლო თურქიაშვილს გადაუწყვიტა 2 წლით საპყრობილეში დაპატიმრება.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოში 28 მარტს ხმ. სვეშნიკოვმა, ბაბოვმა, ხუდადოვმა და სხვებმა გამგეობას განუცხადეს: წარსულ წელს ხორცის დუქნებისაგან ქალაქმა 50,000 მან. იზარალა; ეს მე-6 თვეზე მეტია, არ ვიცით, დუქნები რა მდგომარეობაშია, ზარალი თუ მოგება. ამდენი ხანია გვპირდებით და ჯერაც დუქნების მოქმედების ანგარიში არ წარმოგიდგენიათ. როგორც ქალაქის მოურავმა განაცხადა, წარსულ წლის მოხსენება უკვე იბეჭდება, წლევანდელი-კი ჯერ არა ყოფილა.

◆ ამ ორი დღის წინად სხდომა ჰქონდა ტფ. ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც უნდა გამოერკვია ხმ. ბუდაღოვ-ბადასაროვის მიერ აღძრული საქმე, ვითომ სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს ი. ფურცელაძეს ქალაქის ადგილი მიეთვისებინოს. კომისიას აღმოუჩენია საქმისათვის საჭირო საბუთი ქაღალდი, მიწის მზომელის მარკოზოვისაგან გამგეობაში 1890 წელს წარდგენილი. აქ მოხსენებულია, რომ მიწის მზომელმა 1887—1890 წლამდე აცნობა გამგეობას, რომ ის მიწა, რომელიც ვითომ ფურცელაძეს მიუთვისებია, მითვისებული ყოფილა აღნიშნულ წლებს შუა ღვიდოვის მიერ. კომისიამ ის აზრი გამოსთქვა (5 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4 ხმისა), რომ მიწა თუმც მითვისებულია, მაგრამ ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა ფურცელაძე, რადგან მიწა მიუთვისებიათ 12 წლის წინად იმაზე ადრე, ვიდრე ფურცელაძე ქალაქის სამსახურში შევიდოდა.

◆ ორშაბათს, 28 მარტს, საელექტრონო სადგურიდან საღამოს 9½ საათზე ძალა აღარ მისცეს ტრამვაის ვაგონებს მანქანის გაფუჭების გამო, რის გამო მიმოსვლა ერთ საათს შეჩერებულ იქნა.

◆ 28 მარტს გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას უნდა განეხილა საქმე ტირძნისის მცხოვრების ალექსანდრე ეგაძის, რომელსაც ივანე სულხანიშვილის მოკვლა ჰბრალდებოდა. რადგან რამდენი მოწმე არ გამოცხადდა, საქმე სხვა დროისათვის გადაიდო.

◆ მოგვივიდა ახალი წიგნი „თავგადასავალი, წერილები, აფორიზმები ალ. მესხიასი და საუბარი თვით-შემეცნებაზე პავლე აკობაისა". გამოცემა კონსტ. მესხიასი. ფასი 25 კაპ.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა, მე-20 „კალოდკაში" მცხოვრებთ გუშინ-წინ საერთო განცხადება წარუდგინეს ტფილისის ქალაქის გამგეობას. მცხოვრებნი თხოულობენ, ქალაქმა ამ უბანსაც მიაქციოს ყურადღება, გამართოს ქუჩები, გაანათოს და სხვ. ამას გარდა ამ უბნის აგურხანებს მაზუთით ასურებენ და აწუხებენ მცხოვრებთ. დასასრულ მცხოვრებნი სთხოვენ გამგეობას, იშუამდგომლოს რკინის გზის გამგეობის წინაშე, რომ მათ ნება მიეცეთ ქალაქში ჩამოსასვლელად მე-293 ვერსტზე მოკლე გზით ისარგებლონ, რადგან ეხლა ამ უფლებას მოკლებულნი რამდენიმე ვერსით უვლიან გარს.

◆ წარსულ კვირაში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ დუშეთში განიხილა საქმე დუშეთის მაზრის მცხოვრების ალექსანდრე ნაბოლიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავის მეზობელ ქალის ევა ხუბულურის მოტაცება. ოლქის სასამართლომ ნაბოლიშვილი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლით გაგზავნა.

◆ გუშინ, 29 მარტს საქართველოს ექსარხოსის თავმჯდომარეობით სასინოდო კონტორაში მოხდა კრება, რომელმაც განიხილა ამ კონტორის მოსამსახურეთა თხოვნა. მოსამსახურენი თხოულობენ მიეცეთ [illegible] თვის ჯამაგირისოდენა სანოვაგეზე ფასების აწევის გამო. კრებამ დაადგინა, მიეცეთ როგორც სასინოდო კანტორის, ისე ექსარხოსის კანცელარიის მოხელეებს სამი თვის ჯამაგირისოდენა. ეს დადგენილება გუშინვე უმ. სინოდში გაიგზავნა დასამტკიცებლად.

◆ ტფილისის საპროფესიონალო სახელოსნოს მოწაფეთა არეულობისა გამო სახელოსნოს გამგეობამ დაიბარა მოწაფეთა მშობლები და ბჭობა გამართა. მშობელთა საბჭომ ერთხმად დაადგინა ენკენისთვემდის სწავლა შეწყდეს და მოწაფეებს ეხლავე დაუბრუნდეს დოკუმენტები.

◆ 4 აპრილისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად ნამყოფის მალაქია ცხვედაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ჩვენი ვექილები ერთობ ყურებ ჩამოყრილები დასეირნობენ: საჩივრები და საზოგადოდ ყოველგვარი საქმეები შესამჩნევად შემცირდა სასამართლოებში. წარმოიდგინეთ—იმერეთში მარკის გასავალმაც იკლო. ერთმა ნაცნობმა ვექილმა გულდათუთქვით შემომჩივლა,—იკლო დახლმაო... თვეში რომ ოცი და ოცდა ათი თუმანი შემომდიოდა, ჩამოვიდა, ჩამოვიდა და იანვარში ხუთი თუმანი გავაკეთე, თებერვალში—სამი და ამ მარტში გროში კაპიკი არ მინახავს ჯერაო. ბარე ორი-სამი ქაღალდი-კი დამაწერინეს, მაგრამ მოცემით—ერთობააო—და შაურიც არ მომცესო. ეს ერთობა ჩვენთვის კოტრობააო.

◆ ცხრა აპრილისათვის დანიშნულია იმერეთის თავად-აზნაურთა კრება.

◆ სარწმუნო წყაროდან ვიცით, რომ ზოგიერთ აქაურ პედაგოგებმაც გაიღვიძეს. ერთს შეუდგენია პეტიცია მთავრობისადმი წარსადგენად. ამ ჟამად ხუთის პედაგოგისაგან შემდგარი კომისია არჩევს ამ პეტიციას, შეამუშავებს და, მოწვეულ პირებთან თათბირის შემდეგ, გაგზავნის დანიშნულებისამებრ...

◆ ქუთაისის ქუჩებში კვალად გამოკრულია კიდევ ახალი და უფრო ვრცელი სავალდებულო დადგენილებანი ქუთაისის გენ.-გუბერნატორისა. ახალი დადგენილება შეეხება სადგურებისა, სასტუმროების და სხვა-და-სხვა სახლების პატრონებს და შედის ძალაში 25 ამა მარტიდან.

◆ ამას წინად ქუთაისის ახალ ამბებში ვწერდით, რომ ქუთაისის პოლიცმეისტერი დათხოვნილ იქნა „თანამდებობიდანაო. ეს ამბავი მართალი არ გამოდგა: პოლიცმეისტერის დათხოვნა არავის არ უფიქრნია.

◆ წუხელის პირველ საათზე მცხოვრებნი დააფრთხო თოფების ხმამ. საერო დარაჯები და ყაზახი რუსები დღე-ღამე დადიან ქალაქში, მაგრამ დღესაც არავინ იცის, რა იყო ეს თოფების სროლა და ვისგან იყო. საერობო დარაჯების რაზმები სოფლებშიაც დადიან. გუშინწინ ქუთაისის მახლობელ სოფელში მისულა ექვსიოდე კაცი. ერთს გლეხს იმ დღეს ტირილი ჰქონია მიცვალებულისა. მისულან ამ გლეხისას. მიუწვევიათ სუფრაზე და ღვინის მიზეზი თუ იყო, იქიდან წამოსულებს დაკურით დაუწყიათ რამდენიმე გლეხის ჭიშკარი და ხიმე-ღობეები.

◆ 31 მარტისთვის ქალაქის საბჭოში დანიშნულია კრება ქუთ. ცეცხლისაგან დაზღვევ საურთიერთო საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს 1904 წ. ანგარიში, 1905 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, გამგეობის მოხსენება საზოგადოების „წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ და არჩევნები გამგეობის წევრისა, ამის კანდიდატისა და სარევიზიო კომისიის ორის წევრისა.

◆ 27 მარტისათვის დანიშნული ჩვეულებრივი კრება საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების წევრებისა არ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი კანონიერ კრების მოსახდენად არ შეგროვდა. ორის კვირის შემდეგ დანიშნულია ახალი კრება.

თელავის მაზრის მემამულეთა კერძო კრება

27 მარტი

27 მარტს თელავისა და თიანეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა მიიწვია თავად-აზნაურნი თელავის კლუბის დარბაზში და წინადადება მისცა გამოეთქვათ თავიანთი აზრი იმ ადრესის შესახებ, რომელიც უნდა შემუშავებულ იქმნეს 31 მარტს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე. ამასთან სთხოვა, კრებას თავისი აზრი გამოეთქვა გლეხთა მოძრაობის შესახებაც.

მოითხოვეს წაკითხვა ადრესის პროექტისა.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. მას აქეთ, რაც ეს პროექტი იყო შემუშავებული, მოხდა ისეთი ცვლილებანი, რომ საჭიროდ გახდა მაგისი შეცვლა. სახელდობრ, უნდა აღინიშნოს მოწვევა ახალ წეს-წყობილების დამფუძნებელ კრებისა, რომელიც იქონიებს მსჯელობას რუსეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწეს-რიგებაზე. რადგან დამფუძნებელ კრებაზე ამიერ-კავკასიიდან სულ 2—3 წარმომადგენელი იქნება, რომელნიც რამდენსამე ასს წარმომადგენელს შორის საკმარისად ვერ დაიცავენ ამიერ-კავკასიის ინტერესს, ამიტომ უნდა წარვადგინოთ ჩვენი მოთხოვნაც. 22 მარტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებამ მოისმინა მოხსენება ბ-ნ ვ. რცხილაძისა, რომელმაც წინადადება მისცა კრებას, მოითხოვოს დამფუძნებელ კრების მოწვევა მთელის იმპერიის ყველა ხალხის წარმომადგენლებისა და ამ დამფუძნებელ კრებას სთხოვოს, რომ განაპირა ქვეყნების, მათ შორის, ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობის მოწეს-რიგების მსჯელობას საფუძვლად დაედვას ავტონომიური პრინციპი.

ეს წინადადება კრებამ მიიღო.

წინამძღოლმა სთქვა, რომ ავტონომიურ მართველობის შესახებ არის შემუშავებული პროექტი, რომელსაც აქვე წაგიკითხავთ. წაიკითხეს.

ვ. რცხილაძე. წაკითხული პროექტი სამს ნაწილს შეიცავს; ზოგი თხოვნაა, ზოგი მო-

ფელეტონი

გურიის ამბები

როცა ვუკვირდები გურიაში ხალხის ცხოვრებას, ნათლად ვხედავ, რა კეთილი გავლენა იქონია გურულებზე იმ გარემოებამ, რომ ისინი ეხლა თვითონ უძღვებიან თავის საზოგადო საქმესა და საჭიროებას. მახსოვს ისეთი დრო გურიაში, როცა ხალხში ერთობა არ ყოფილა, მეზობელი მეზობელს არ ინდობდა, სულ უმნიშვნელო მიზეზი საკმაო იყო მოძმეთა შორის შუღლის დასათესად. მოვიყვან ერთ გასაოცარ მაგალითს წინა დროში არსებულ უთანხმოებისას. ორ მეზობელს ყანები ჰქონდათ შარა გზის გარდი-გარდმო: ერთს გზიდან მარჯვნითა და მეორეს—მარცხნით. ამ თავისი ყანების საქონლის შემოსევისაგან დასაცველად მეზობლებს თავ-თავიანთ ადგილებისათვის ღობე უნდა შემოევლოთ და იმ შარა გზის თავში და ბოლოში, რომელიც მათ ყანების შუა საზღვარს შეადგენდა, საერთო ჭიშკრები უნდა დაედგათ. ამ ჭიშკრების დადგმაზე ვერ შეთანხმდნენ მეზობლები: ცხარე ლაპარაკი მოუვიდათ ერთმანეთში, წაიჩხუბნენ და ბოლო და ბოლოს ისე გადაემტერნენ ერთმანეთს, რომ თვითეულმა მათგანმა არჩია საერთო ჭიშკრის დადგმის მაგიერ საკუთარი ღობე გაევლო თავისი ყანისათვის, შარა გზის გაყოლებაზე. ასეთი სამწუხარო განხეთქილება, საერთო საქმის მნიშვნელობისა და სარგებლობის შეუგნებლობა იყო წინად გურიაში. ამ ჟამად იქ ამგვარ სამწუხარო მოვლენას არ შეხვდებით. რომ მოხდეს კიდევაც ამგვარი რამ, მალე გაასწორებს სოფელი ამ უთანხმოებას, შეარიგებს ორ მოქიშპე მეზობელს, არ დაცხრება, სანამ თავიდან არ მოიშორებს დღევანდელ ერთობის დამრღვევ ამა თუ იმ სამწუხარო მოვლენას.

ადმინისტრაციის, პოლიციის ძალადობაც წინად ხალხში არსებულ განხეთქილებაზე, უთანხმოებაზე იყო აგებული. ძველი იგავის არ იყოს, ადმინისტრაციის მჩაგრავი ძალა ადვილად ერეოდა თვითეულ განკერძოებულ გლეხს, მოურიდებლად, სასტიკად ჩასჭიდებდა თავის ბასრ კლანჭებს განმარტოებულ ადამიანს და, რასაკვირველია, მსუბუქ ლერწამივით ადვილად მოსტეხდა ხოლმე წელში. ამ მხრივ პოლიციას ინსტინქტით, ალღოთი და არა განათლებით, შეთვისებული ჰქონდა რომის იმპერიის ძველი პრინციპი,—ხალხში განხეთქილება დასთესე და ამით შენი ბატონობა განამტკიცეო. რომაელები საოცარ ვერაგულ გამჭრიახობას იჩენდნენ, რომელსაც, რასაკვირველია, ვერ გამოიჩენდნენ ძველებური—ჩვენებურად გაზდილ-განვითარებული ჩვენი პოლიციის მოხელენი: მეტ-ნაკლებ, განსხვავებულ უფლებებს ანიჭებდნენ რომაელები თავის დაპყრობილ, მორჩილ ქვეშევრდომ ხალხთ, რათა მათ შორის შური და უთანხმოება აღეძრათ, მტრობა ჩამოეგდოთ მათში, ერთმანერთზე მიესიათ და შინაურ შუღლით ქანც-გამოლეულ ხალხზე უფრო მტკიცედ განერთხოთ თავის ვეება, ტლანქი კლანჭები.

გურიამ ახლა კარგად, ნათლად შეიგნო რა დაუშრეტელი, კეთილი და ყველასათვის თანაბრად სასარგებლო წყაროა ძმობა, ერთობა, ერთმანეთის გატანა, საერთო კავშირი. როგორც ყველასათვის საერთოდ მოტანილი სასიხარულო ამბავი ყველა დამსწრეთ აღაფრთოვანებს, ერთ სულად და ერთ გრძნობად აქცევს, ისე ერთობის სანეტარო ამბავმა ერთის გრძნობითა და ერთის მისწრაფებით შეაკავშირა და აღაფრთოვანა მთელი გურია და მეზობელ ხალხზე კეთილი, ზნეობრივი გავლენა იქონია.

გურულებმა, მაგალითად, ის არ იკმარეს, რომ თავის ქვეყანაში, გურიაში, მოსპეს ქორწილში და ქელესწულებში ლოთობა, ღრეობა და ალაპები, არამედ მოხალისეთა თავისუფალი რაზმიც შეადგინეს, რომელიც მეზობელ სამეგრელოში გაემგზავრა, რათა იქადაგოს იქ ამ სამწუხარო, უზნეო ჩვეულებათა აღმოფხვრა. „ნამეტნავისაგან გულისა ღაღად ჰყოფენ ბაგენი ადამიანთაო", გვამცნევს ძველი ჭეშმარიტება: ესე იგი—აღფრთოვანებული გული სავსე ფიალას ჰგავს, რომელიც მწყურვალე სულს ეძებს, რათა ზნეობრივი წყურვილი მოუკლას და თავისი დანიშნულება ამ სოფლად კეთილად შეასრულოს.

გურიაში არსებულ ერთობის დასასურათებლად მოვიყვან კიდევ შემდეგ შესანიშნავ ამბავს. ერთ სოფელში იქ მტერობით ცილი დასწამეს ახალგაზდა გასათხოვარ სოფლელ ქალს. საწყალი უდანაშაულო ქალი კინაღამ არ გაუბედურა ამ მტერობით შეთხზულმა ცილის წამებამ. საქმრომ ხელი აიღო ამ ქალზე, რადგან ქალის მოძულეებმა დააჯერეს, შენი საცოლო ცუდი ყოფა-ქცევის ქალიაო. მეზობლები, რომელთაც გულით ებრალებოდათ უდანაშაულო ქალი, შეუდგნენ საქმის გამოძიებას. კვალდაკვალ გამოიძიეს, როგორ გავრცელდა ამ ქალის შესახებ შეთხზული საზიზღარი ჭორი. ჩამოიარეს ყველანი, ვინც ერთმანეთს გადასცა ეს ამბავი, გამოარკვიეს ჭორის მიხვეულ-მოხვეული მოგზაურობა; ორი სოფლის შემოვლა დასჭირდათ ამ საქმის გამოსარკვევად და ბოლოს მიაგნეს ცილისმწამებელს, აიძულეს საჯაროდ, სასოფლო კრების წინაშე აღეარებინა თავისი დანაშაული და გაემართლებინა თავისი უდანაშაულო მსხვერპლი.

მთელ ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი სასამართლო, რომელსაც შეეძლო ამგვარად გამოერკვია ეს საქმე, რადგან ყველა სასამართლოების შინაგანი წყობილება, მათი მოქმედების მანქანა—უსიცოცხლოა, მკვდარია. რასაც ვერ შესძლებდა ცხოვრებას მოწყვეტილი დაწესებულება, შეასრულა თავისი ძალ-ღონით თვით ხალხმა, აქ ხალხში არსებულმა ერთობამ, ერთმანეთის გატანამ და თანაგრძნობამ.

ერთ სახალხო კრებას დავესწარი გურიაში, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემ ხსოვნაში. ათასზე მეტი ქალი, კაცი და ბავშვი იყო თავმოყრილი. ყველას სიდინჯე, სერიოზული განწყობილება ემჩნეოდა სახეზე. ყველას კარგად ესმოდა, რომ სახუმროდ კი არ მოეყარათ აქ თავი, არამედ საერთო საგულისხმიერო საქმის გადასაწყვეტად. ხალხიდან გამოვიდა რამდენიმე კაცი და ერთმა მათგანმა შემდეგის სიტყვებით მიმართა კრებას: „ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენ შორის გაჩნდნენ ეგრედ წოდებული „ტერორისტები", ახალგაზდა კაცები, რომელთაც სოფლის დაცვა იკისრეს სხვა-და-სხვა მავნე პირთაგან, იარაღი შეიძინეს, მუშაობას თავი დაანებეს, მოიშორეს თავიდან ყოველდღიური, ადამიანისათვის უსაჭიროესი მოვალეობა—შრომა, და იარაღს მიენდვნენ, რომელიც ყოველთვის ორპირ მეგობრობას უწევს ადამიანს,—რყვნის თავის პატრონს, ძალადობას აჩვევს, ბოლო-და-ბოლოს სოფლის იარაღ და რისხვად გადააქცევს შეიარაღებულ კაცს და ისეთ საქმეს ჩაადენინებს, რომელიც უეჭველად წაბილწავს ხალხის საერთო კეთილ საქმეს. ჩვენ შორისაც ასე მოხდა. შეიარაღებული და სასარგებლო შრომას მოწყვეტილი ახალგაზდები ზნეობის წმინდა გზას ასცდნენ, მიჰყვეს ხელი ლოთობასა და ბანქოს თამაშს, გაირყვნენ და დაზარმაცდნენ, კაცის მოკვლა ეადვილებათ, ქალებს უწმაწური თვალებით დაუწყეს ცქერა, ზოგმა მათგანმა კიდევაც ძალადობა იხმარა ქალებზე და სამუდამოდ წაბილწა თავისი სახელი. არ გვინდა ჩვენ ასეთი დამცველები, ასეთი ზნე-დაცემული მეგობრები. მათი მეგობრობა—ჩვენი თავის მოჭრაა. მეგობარი—წმინდა ზნეობის, გამტანი კაცი უნდა იყოს, რომელსაც სავსებით ენდობა ადამიანი, როგორც თავისი წმინდა გულის პასუხის მოზიარეს, კეთილ მიზნისაკენ კეთილ-

თხოვნა და დასკვნა. მე ვგონებ, შეიძლება მარტო ორი მოთხოვნით შევცვალოთ ეგ წარვადგინოთ: ერთი, რომ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, მეორე, რომ დამფუძნებელმა კრებამ განაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობის გაწესრიგებას დაუდოს საფუძვლად პრინციპი ავტონომიურ მართვა-გამგეობისა.

გადასწყდა: მიემხრონ სამეურნეო საზოგადოების დადგენილებას.

წინამძღოლი. მეორე საკითხი გლეხთა მოძრაობას შეეხება. რას იტყვით ამაზე? ჩვენ მაზრაში ბევრი იმისთანა ხდება, რაც სხვაგან მარტო სიტყვით ითქმოდა... გუშინ მოვიდა ართანიდან თავ. რევაზ ყარალაშვილი და სწორედ განსაცვიფრებელი ამბავი მოვიტანა. მთელი ღამეები უდარაჯნია თოფით ხელში თავის ცოლშვილისათვის. ვაჩნაძიანში თავად-აზნაურთ ვერ გაუვლიათ გზაზე, რომ შეურაცხყოფილნი არ იყვნენ. მე ვნახე მღვდელი, რომელიც გლეხთ უქადაგებს წინააღმდეგ თავად-აზნაურობისა. არის მასწავლებელი, რომელიც პროკლამაციებს უკითხავს გლეხებს. არიან სოფლის მწერალნი, რომელნიც იმის მეტს აღარას აკეთებენ, რომ პროკლამაციებს უკითხავენ გლეხებს. იყო შემთხვევა, ეკკლესია უნდა დაეწვათ. როგორც ჰხედავთ, ჩვენ ევროპასაც გავუსწარით. არ ვიცი, იქნება აქ არიან და იქნება არ არიან აქა, მე მაინც ვსთხოვ იმათ, ვინც აქეზებენ გლეხებს, ნუ იზამენ ამას. მე დიდად თანავუგრძნობ გლეხთა შეგნებულ მოძრაობას, გლეხთა სულით გაღვიძებას, მაგრამ დარწმუნდნენ ყველანი, რომ სისხლის ღვრა, დაწვა და ძარცვა-გლეჯა თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს. იქნება ვინმე ამღვრეულ წყალში ოქროს თევზებს იჭერს და იმისთვის მოქმედობს. ასეა თუ ისე, ჩვენი მოვალეობაა გლეხთა უკმაყოფილებას თავად-აზნაურთა შესახებს ანგარიში გავუწიოთ. ამისთვის მე შევიმუშავე პირობანი, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მემამულეთა და გლეხთა შორის მორიგებას. წავიკითხოთ, შევამსოთ, შევასწოროთ, შევცვალოთ.

წაიკითხეს. გაიმართა კამათი. გლეხთა მოძრაობის ერთ მიზეზად კრებამ ბიუროკრატიული რეჟიმი სცნო, რომელიც ასე მძიმედ დასწოლია ყველას, ვისაც პირში სული უდგას. რაც შეეხება გლეხთა ზოგიერთ მოთხოვნილებას მემამულეთა შესახებს, ამ მხრივაც საყურადღებოა გლეხთა მოძრაობა და აუცილებელია უმჯობეს პირობების შექმნა.

გადასწყვიტეს, წინამძღოლმა თვითეულ სოფელში აირჩიოს ვინმე მემამულეთაგანი, წერილობით დაავალოს, რომ აირჩიონ მემამულეთ და გლეხთ წარმომადგენელნი, მოილაპარაკონ ორივე მხარემ და მორიგდნენ.

ნადიკვრელი

რუსეთის ქრონიკა

კ. პ. პობედონოსცევს, როგორც „სლოვო“-ს შეუტყვია, თხოვნა შეუტანია, სამსახურიდან დამითხოვეთო. პობედონოსცევი მთელი 25 წელიწადი იყო ხელმძღვანელი რუსეთის შინაგან პოლიტიკისა და ეხლა მის სამსახურიდან გადადგომას უკავშირებენ ახალ მოძრაობას, რომელმაც ასე ძლიერად იჩინა თავი ეკკლესიისა და ღვთისმეტყველების წარმომადგენელთა შორის: დღეს ეს წარმომადგენელნი დიდ პროტესტს აცხადებენ საერო მთავრობის მიერ ეკკლესიის დამონების წინააღმდეგ.

რედაქტორ-გამომცემელთა კრებაზე პეტერბურგში 22 მარტს თათბირი ჰქონდათ ბეჭდვითი საქმის მუშაკთა დასვენებაზე კვირა დღეს. ხანგრძლივ კამათის შემდეგ დამსწრეთ ხელი მოაწერეს შემდეგ ოქმს: ქვემორე ხელის მომწერელნი ყველა თანახმაა, რომ ბეჭდვითი საქმის მუშაკნი კვირას უთუოდ ისვენებდნენ; ეს დასვენება უნდა გაგრძელდეს არა ნაკლებ 24 საათისა.

ხელი მოაწერეს: „რუს“-ის, „ნოვოე ვრემია“-ს, „პეტ. ვედომოსტ“-ის, „რაზსვეტ“-ის, „ბირჟ. ვედომოსტ“-ის, „ნაშა ჟიზნ“-ის, „სლოვო“-სა და „ნოვოსტ“-ის წარმომადგენელი.

პიროგოვის კრება მოსკოვში. „მოსკოვსკია ვედომოსტ“-ში ასეა აწერილი ექიმთა კრება: „23 მარტს 3000-ზე მეტი ხალხი შეიკრიბა. გარდა ექიმებისა აქ იყვნენ სტუდენტები და ქალები; იყვნენ აგრეთვე ებრაელები და არა-რუსები. ჩვენ აქ მხოლოდ აღვწერთ იმას, რაც ამ სხდომის დროს მოხდა...

ოფიციალურად გამოაცხადეს პოლიტიკური რეზოლიუციები, რომელიც კერძო თათბირზე შეემუშავებინათ; პირველად ყოვლისა მოითხოვეს დამფუძნებელ კრების მოწვევა და ომის შეწყვეტა... რასაკვირველია, ყველა მუხლები დიდის ტაშის ცემით იყო მიღებული... კრებაზე დამსწრეთ ერთხმათ დაადგინეს, რომ მიღებული რეზოლიუციები გაავრცელონ ყველგან. გარდა ამისა თავმჯდომარემ წაიკითხა განცხადება ექიმებისა—დავაარსოთ სრულიად რუსეთის ექიმთა კავშირი არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების შესაცვლელად და საკონსტიტუციო მმართველობის შემოსაღებადო. საზოგადოებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება; წინააღმდეგი ერთიც კი არ აღმოჩნდა... ერთმა ექიმმა ნამდვილი პროკლამაცია წაიკითხა და გაათავა—ძირს თვითმპყრობელობაო. მთელმა საზოგადოებამ ბანი მისცა და დიდხანს ისმოდა—ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკასო.

ამის შემდეგ კრება დაიხურა“.

„რუსკია ვედომოსტ“-ში კი არც ერთი აქ მოყვანილი ფაქტი არ არის აღნიშნული; იქ მოყვანილია რამდენიმე საყურადღებო მოხსენების შინაარსი.

მოსწავლეთა მშობლების კრებები სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით აკრძალულია: დამშვიდების მაგიერ მშობლები კიდევ მეტ უკმაყოფილებას ავრცელებენ მოსწავლეთა შორისო.

მართალია ბ-ნი თ. ჟორდანია?

აგერ ერთს თვეზე მეტია, რაც გამოვაქვეყნეთ ჩვენ ზოგიერთი ცნობები ბ-ნ ჟორდანიას მოღვაწეობის შესახებ საზოგადო ასპარეზზე. ვსწერდით, რომ ბ-ნ ჟორდანია, ამბობდა თავის ოფიციალურ ანგარიშში: „სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნას საფუძვლად უდევს ის ნათელი ჭეშმარიტება, პედაგოგიური აქსიომა, რომ გაუგებარი და უცნობი ბავშებს უნდა აუხსნან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმისთ, და თუ მეგრელ ბავშებს თავისი დედა ენა, მეგრული, უკეთ ესმით, ვიდრე ქართული, მათთვის გაუგებარის აზრების ასახსნელად უნდა მიემართოთ უფრო გასაგებ მეგრულ ენას... მეგრელების დედა-ენა არის მეგრული“ და სხ.

ეს ოფიციალური ანგარიშია „отчетъ о состоянiи школъ церковно приходскихъ и грамоты гурiиско-мингр-епархiи за 1902/03 г.“ ანგარიში დაბეჭდილია 1904 წელს, ფოთში, ტუდუმის სტამბაში, შეიცავს 71 გვერდს, ხელმოწერილია სტატსკი სოვეტნიკის (ამ ანგარიშის შემდეგ, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის) თედორე ჟორდანიას მიერ და მას სრულებით არ ეტყობა რაიმე სიყალბის ნიშანი.

როდესაც ეს ოფიციალური ცნობები გამოვაქვეყნეთ ჩვენ, ბ. ჟორდანიამ წარმოადგინა რედაქციაში მეორენაირი „ანგარიში“, რომელიც განსხვავდება პირველნაირის, ჩვენ რომ ხელში გვქონდა, ანგარიშისაგან იმით, რომ მე-30 და მე-31 გვერდების შუა ჩაკერებულია ორი ახალი, უნომერაციო, გვერდი. გარდა ამისა მეორენაირ ანგარიშიდან ამოღებულია ის ადგილი, სადაც ბ. ჟორდანია თავისებურად ასაბუთებს ქართული „სალიტერატურო“ (ბ. ჟორდანიამ და მისმა მეგობრებმა ერთი ქართული ენა გაჰყვეს ორად—სალიტერატუროდ და საეკკლესიოდ) ენის გამოდევნის საჭიროებას სამეგრელოს სკოლებიდან, და სამაგიეროდ ჩამატებულია ახალი ადგილი, კამათი იმ სადილზე, რომელიც გაუმართა ფოთის თვითმმართველობამ ეგზარხოსს. აქ ბ. ჟორდანია ძალიან ცდილა, რომ ის შეხედულობა, რომელიც პირდაპირ არის გამოთქმული პირველნაირ ანგარიშში, როგორც მისი საკუთარი, მოახვიოს თავზე ეგზარხოსს და ვოსტორგოვს, მაგრამ სავსებით მაინც ვერ მოუხერხებია ეს და აქაც სტრიქონებს შორის მოსჩანს მისი ნამდვილი ფიზიონომია.

დღეს ბ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ პირველნაირი ანგარიში არ არის სწორიო, იგი არ შეეფერება ჩემს აზრებს, ამის შესახებ ოფიციალურად პროტესტი შევიტანე საეპარქიო საბჭოში, რომ ეს ანგარიში გამოსცეს ჩემდა დაუკითხავად ჩემმა მტრებმაო. თუმცა ბ. ჟორდანიამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომ მართლა განაცხადა პროტესტი საბჭოში, მაგრამ ამ დოკუმენტებს ფორმალური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და ჩვენ ძალიან ეჭვი შეგვაქვს იმაში, რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც ბ. ჟორდანიას ფორმალური საბუთები ამბობენ. ყველაზე უწინარეს გაუგებარია, ვის შეეძლო შეეცვალა ანგარიში ავტორის დაუკითხავად? ბ. ჟორდანია ამბობს, ეს ჩემმა მტრებმა მოიქმედესო. მაგრამ რომელმა მტრებმა? ვინ ათქმევინა ბ. ჟორდანიას ანგარიშში ის, რაც მას ვითომ არასოდეს არ უთქვამს? ალექსანდრე ეპისკოპოსმა, ბ. ნიკოლაძემ, ფანცხავამ? ვინ დაიჯერებს, რომ ანგარიში ამათ შესცვალეს! მაგრამ ეგებ შესწორეს იმ „მტრებმა“, რომლებიც მეგობრულად აწინაურებენ და აჯილდოვებენ ბ. ჟორდანიას? რატომ გარკვევით და გადაჭრით არ გვაძლევს პასუხს ბ. ჟორდანია? ტყვილად ჰგონია, რომ ასე ადვილად დაუმტკიცებს საზოგადოებას, თუ რისთვის გამოვიდა ერთი და იგივე ანგარიში ორის სახით: ერთი „მტრებისათვის“, მეორე „მოყვარებისათვის“...

მაგრამ ჯერ-ჯერობით დავანებოთ თავი პირველნაირ ანგარიშს და ვილაპარაკოთ მეორე, ბ. ჟორდანიას მიერ მოწონებულ, ანგარიშის შესახებ. მე-29 გვერდზე ამ ანგარიშში ვკითხულობთ: „საოლქო ზედამხედველმა (ვოსტორგოვმა) გამოაცხადა, რომ მას და ალექსანდრე ეპისკოპოზს ჰქონდათ მოლაპარაკება იმ საგნის შესახებ, რომელიც გადაცემული ჰქონდა გადასაწყვეტად საეპარქიო საბჭოს, სახელდობრ, რომ გამოდევნილ იქნას სამეგრელოს სკოლებიდან ქართული სალიტერატურო ენა და დარჩეს მხოლოდ საეკკლესიო (რომელი კითხვაც ზოგიერთ პირის ზედგავლენით*) ვერ გადაწყდა საბჭოში) და ერთმანეთთან შეთანხმებით გადასწყვიტეს ეს საგანი... ამ გვარად ის საკითხი, რომელიც ამდენ თვეს გადაუწყვეტელი იყო, გადაწყდა მალე მხოლოდ ალექსანდრე ეპისკოპოსთან პირად მოლაპარაკების შემდეგ. ხოლო ამბავი სამეგრელოს სკოლებიდან ქართულ სალიტერატურო ენის გამოდევნის შესახებ არა-კეთილსაიმედო პირების მიერ გავრცელდა ქალაქში (ფოთში) და გამოიწვია ბევრი უსიამოვნება (რუსულად ასეა ეს ადგილი: однако вѣсть объ изъятiи изъ мингрельскихъ школъ литератур. груз. языка неблагонамѣренными лицами разнесена по городу и вызвала рядъ непрiятностей)“.

შევჩერდეთ აქ და ვკითხოთ ბ. ჟორდანიას, რას ამბობენ ეს სტრიქონები? განა ამ სტრიქონებს დასწერდა ის ადამიანი, რომელიც მომხრეა ქართული ენის სამეგრელოს სკოლებში დატოვებისა, რომელიც ქართული ენის სიყვარულს საფლავში ჩაიტანს და მის ღალატს არავის აპატიებს? ნუ თუ ბ. ჟორდანიას ჰგონია, რომ ვისმე დაარწმუნებს ამ სტრიქონების შემდეგ: მეც იმ ზოგიერთ პირების რიცხვში ვიყავი, რომელთა ზედგავლენით (თუ ინტრიგებით) ვერ გადაწყდა ქართული ენის გამოდევნის საქმეო? ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ წაიკითხოს ეს სტრიქონები, და სთქვას: ბ. ჟორდანია ქართული ენის მომხრე ყოფილა და იცავდა მას სამეგრელოს სკოლებში.

შემდეგ აწერილია ზემოდ დასახელებული კამათი, რომლის სიყალბეს მოწმობენ ბ.ბ. ნიკოლაძე, ფანცხავა, მიქაბერიძე და ალექსანდრე ეპისკოპოზი. მაგრამ დავუჯეროთ ბ. ჟორდანიას, რომ მართალს ამბობს. მისი მართალი სიტყვებით ასეა აწერილი 1903 წლის 25 აპრილის ნადიმი: „უეჭველად უსამღვდელოესმა ეგზარხოსმა განუცხადა ბ. ნიკოლაძეს და საზოგადოებას, რომ აძრულ საკითხს უდევს სარწმუნოდ და საფუძვლად ის ყველასათვის აშკარა პედაგოგიური აქსიომა, რომელიც თხოულობს, რომ ყველაფერი გაუგებარი აუხსნათ ბავშვებს იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით; რომ თუ მეგრელ ბავშვებს უფრო ესმით თავისი დედა-ენა, მეგრული, ვიდრე ქართული, უცნობ, გაუგებარ აზრების ასახსნელად უნდა ვიხმაროთ მათთვის უფრო გასაგები მეგრული ენა და არა აუხსნათ გაუგებარი გაუგებარის შემწეობით. მოკლე, მაგრამ ძლიერი სიტყვა მეუფისა იმდენად სარწმუნო იყო, რომ ბ. ნიკოლაძეს არაფერის თქმა არ შეეძლო (краткая, но сильная рѣчь Владыки оказалась столь убѣдительной, что г. Николадзе ничего не могъ возразить). თუმცა სადილზე მეორე რამდენიმე პირი კიდევ განაგრძობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტის ფრაზებით იმის მტკიცებას, რომ არ გამოდევნილიყო ეპარქიის სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა, მაგრამ ახალი არავის უთქვამს რა. მეუფე ეგზარხოსმა, როგორც ეს შეჰფეროდა მის თავმდაბალ ხასიათს, მის მიერ წარმოთქმულ პედაგოგიური აქსიომის სიმართლის დასასაბუთებლად (для подтвержденiя) დაიმოწმა აქვე მყოფი პედაგოგები—საოლქო და საეპარქიო ზედამხედველები“.

რაც ამ ღირსეულმა პედაგოგებმა უპასუხეს, ეს შემდეგისათვის იყოს, ხოლო მოყვანილი სიტყვებიდანაც ნათლად არა სჩანს ბ. ჟორდანიას ზნეობრივი ფიზიონომია? თუ ეგზარხოსის მოსაზრება პედაგოგიური აქსიომაა, იგი აქსიომა არაა თვითონ ბ. ჟორდანიასათვის? თუ ისე ბეჯითი და სარწმუნო იყო ეგზარხოსის „მოკლე, მაგრამ ძლიერი“ სიტყვა, რასაკვირველია, იგი სარწმუნო იყო ბ. ჟორდანიასათვისაც?

არა, რაც უნდა დოკუმენტები მოიტანოს ბ. ჟორდანიამ, ვერავის მოატყუებს. ყოველი მისი სიტყვა ცხადად გვიმტკიცებს, ვინც ბრძანდება. ისე, როგორც იგი სწერს თავის ანგარიშში, არ სწერენ ისინი, „რომელთა პიროვნება მოღვაწეობითაა დატვირთული, რომელნიც მრავალჯერ დატანჯულან ქართული ენისთვის“! ბ. ჟორდანია არამც თუ ბრმა იარაღი იყო ქართული ენის დაჩაგვრისა, არამედ შეგნებულად ხელს უწყობდა ასეთ დაჩაგვრას.

კალამი

(დასასრული იქნება)

პრესსა

დიმიტრი ეპისკოპოსი ამტკიცებს „რუს“-ში, რომ იგი წმინდაა ყოველ ბრალდებისაგან: აზრშიაც არ მოსვლია სამეგრელოს გარუსებაო.

> პირიქით, მხოლოდ ჩემის ინიციატივით იყო მოწვეული ახალ-სენაკში გურია-სამეგრელოს სამღვდელოების კრება და ამ კრებაზე ვემუდარებოდი თანამწყემსებს გაძლიერებინათ ქართული ქადაგება, ესწავლებინათ ქართული ლოცვები, გაემართათ საკვირაო სკოლები, რომ ქართული წერა-კითხვა და საქრისტიანო სწავლა ესწავლებინათ. ნუ თუ ყველა ეს სამეგრელოს გარუსებაა. სამეგრელოსა და გურიის სამრევლო სკოლებში ქართულ ენას ისევე ასწავლიან, როგორც წინად.

გურია-სამეგრელოს სამღვდელოების კრებაზე ჩვენ სულ სხვა გაგვიგონია; რაც შეეხება იმას, რომ ქართულ ენას ისევე ასწავლიან, როგორც წინად, ეს მოხდა ბატონ ჟორდანიისა და დიმიტრი ეპისკოპოსის წინააღმდეგ.

ტყუილია, რომ ქართულად არ ვწირავდი ფოთში: ფოთის ეკლესიაში ხან რუსულად ვსწირავ ხან ქართულად, რადგან რუსებიც არიან ფოთში. (ნეტავი რამდენი რუსია?)

მართალია, მარტვილის მონასტრის წინამძღვრად რუსის ბერი პეტრე დავნიშნე, მაგრამ ეს დროებითი დანიშვნა არისო.

ბათუმში ივანიცკი დავნიშნე, მაგრამ ის ხომ ქართულის კარგი მცოდნე არისო. შესაძლებელია, რომ ქართული თვითონ ეპისკოპოსზე უკეთესად იცოდეს, მაგრამ მოქმედებით სულ სხვა იყოს.

ძალიან აღშფოთებულია ეპისკოპოსი დიმიტრი ბოდბეს მონასტრის ცუდად ხსენების გამო.

> სირცხვილია, სირცხვილი ჩივილი ბოდბეს მონასტერზე მხოლოდ იმიტომ, რომ იქ რუსის მონაზვნები არიან...
>
> სულ 16 წლის განმავლობაში განაახლეს მიტოვებული მონასტერი; მონაზვნები თავს უყრიან და ასწავლიან საქართველოს შვილებს და ამით უეჭველია ახარებენ დიდებულ მოციქულის წმ. ნინოს სულს. შეიხედეთ მონასტრის ეზოში: ვინ თამაშობენ იქ, რუსები თუ ქართველები, საქართველოს ყოველ კუთხიდან შეკრებილნი... ადგილობრივი აზნაურები და თავადები, გლეხებზედ არას ვიტყვი, უაღრესად მადლობელნი არიან მონასტრისა და სიხარულით აძლევენ იქ ბავშვებს...

საკვირველია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მართლა აღტაცებაში არიან, როგორც დიმიტრი ეპისკოპოსს ჰგონია: ქიზიყის მცხოვრებლებმა ერთხმად მოითხოვეს—მოგვაშორეთ რუსის მონაზვნები და მათი სკოლაო.

იმერეთის სამღვდელოების კრება

16 მარტს დაიწყო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება და 22-ს გათავდა. ამ ექვს დღეს დილა ადრიან შევუდგებოდი „სობოროს“ შემართს. გულ აძგერებული, ხვნეშით მივაღწევდი დაუქმებულ სასულიერო სასწავლებელს. მხოლოდ შევდიოდი თუ არა იმ დარბაზში, საცა იმერეთის ეპარქიის მამათ თავი მოეყარათ—გულიც დამიწმინდებოდა და ხვნეშაც ტკბილ ამოსუნთქვად გადამექცეოდა. ჩვენში ბევრს კრებას დავსწრებივარ, მინახავს კერძო სხდომებიც სახორციელო პირთა, მხოლოდ ნურას უკაცრავად—ქვით, ფას ყველა ეს კრებები და სხდომები სასულიერო პირთა ახლანდელ კრებასთან...

უნდა გამოვტყდე—ამ კრებებზე დამსწრეს ხშირად ჩემი თავი იმერეთში არ მეგონა, სადაც ყველანი მოვკაკულვართ, სოროებში ვყვირით, ვყვირით, ვხმაურობთ—საქმე კი არსადა სჩანს. მართალია — ყვირილი, გაძახილი და ცხარე კამათი ამ კრებებზედაც საკმაოდ იყო. თავმჯდომარე, რომელსაც პატარა ზარუნა ედვა წინ, ხშირად სახაზავსაც მიმართავდა და მას უბრახუნებდა მაგიდას, ერთ დღეს სობოროს დიდი ზარიც მოინატრა,—თუ იმას მოვატანინებ და ვაკაკუნებ, თორემ თქვენი დაწყნარება არ იქნებაო!—მაგრამ საქმეც გაკეთდა.

პეტიცია მიდის, სადაც ჯერ არს. ახლანდელმა მდგომარეობამ, დღეის ცხოვრების ვითარებამ ასეთი პეტიციები ბევრი გამოიწვია სხვადასხვა წოდებათაგან... წინად სამღვდელოება ბევრ რასმე აკეთებდა. მაგრამ ეხლა დრო გამოიცვალა. ერი გაიზარდა, სხვა საკითხები დაიბადა. სხვა მოთხოვნილებანი გაჩნდა, მღვდელი კი ისევ ძველ დავთრებს ჩასჩერებია, „მარტო მიცვალებულებს მიუძღვის წინ ერთხელაც არ უფიქრია—ცოცხლებსაც უწინამძღვროს“... თუ არ უწინამძღვროს, გვერდით მაინც გაჰყვეს,—უკან გაჰყვეს. თავად ეგ საგანი იყო ქვაკუთხედი სულიერ მამათა კრებების სჯა-ბაასისა...

ჩვენ სულ ვუყურებთ ხალხის ეკონომიურად დაქვეითებასაო და სხვა ათას ბატონთან, ჩვენც მისი ბატონობა დაგვიჩემებიაო. კისრად ვიდებთ გადასახადებსაო და ამის გამო რა ზნეობრივი გავლენა უნდა ჰქონდეს სულიერ მამათ მრევლზეო. მოისპოს ეგ გადასახადები, მოისპოს დრამა, საწირავი, საკურთხები და სხვადასხვა ხარჯი მღვდელ მოქმედებისათვის... მოგვცეს ხაზინამ ჯამაგირი. ნუ გვექნება ნურავითარი ვაჭრული ანგარიში მრევლთან და ნუ იქნება ამით შებღალული ის ზნეობრივი კავშირი, რომელიც საჭიროა ჩვენსა და მრევლს შორისაო. მაგრამ მაშინ ხომ ისევ ხალხს დააწვა კისერზე ეგ გადასახადი. ჯამაგირების წყარო ისევ ხალხი რჩება. მის ზურგზე აიღებენ ამ ხარჯს და ახლა თუ ცუდის სახელით გვნათლავს ერი, მაშინ უარესსაც დაგვარქმევს, როცა ნამდვილი ყურმოჭრილნი ყმანი გავხდებით, დამოკიდებულნი მისგან, ვინც ნივთიერად უზრუნველ გვყოფს, გავხდებით ნამდვილი მოხელეები—ეგ ჩვენს მოწოდებას არ შეეფერება. რადგან ორის ჭირისაგან სჯობს უფრო იოლი არჩიო კაცმა, უკეთესია ხაზინისაგან იყოს ჯამაგირები დანიშნული და მოძღვარს მით მოესპოს პირდაპირი ვაჭრული საქმეები მრევლთანაო.

მაგრამ დღეს-დღეობით, სანამ ეგ მოთხოვნილება არ დაკანონებულა, როგორ გაუძლევს საქმეს ის მცირე ჯამაგირიანი მღვდელი, რომელიც დღეიდანვე აღკვეთს ყოველგვარ გადასახადის აღებას მრევლისაგანაო. ნორმა ჯამაგირისა არაა ერთიანი. ზოგი 500-ზე მეტს იღებს, ზოგი ასსაც არა. აქედან კიდევ 14%, ახალის განკარგულების ძალით, უნდა მოეჭრათ და სავალდებულოდ უდევთ ისეთის გაზეთების გამოწერა, რომელიც წლიდან-წლამდის ბანდეროლ-გადაკრული, გაუშლელი უყრიათ. მოისპოს ამგვარი არა-სავალდებულო მოკვეცა სულიერ მამათა ჯამაგირებზე, შესდგეს ერთიანი თანხა და შემდეგ თანაბრად განაწილდეს ყოველ მღვდელზე... ერთობაც ეს იქმნებაო... მაგრამ აქ ერთი გარემოებაც აღნიშნეს... არის სულიერ მამათა შორის ისეთი ჩასუქებული მოძღვარი, რომ დღევანდელი 80 მანეთიანი ჯამაგირიც არ ესაჭიროება მას... არა, უარს კი არ იტყვის, მაგრამ ნივთიერად უზრუნველყოფილია ბევრად უკეთ იმათზე, რომელთაც სამასზე მეტიც ეძლევათ. და, აი, იმ თანხის განაწილების დროს, კარგი იქმნებოდა, რომ სულიერ მამათა ნივთიერ მდგომარეობას ვიქონიებდეთ სახეშიო.

აქ მედავითნეებმაც წარმოადგინეს თავიანთი მოთხოვნანი. ჯაფა მღვდლებზე მეტი თუ გვაქვს—ნაკლები არა... სამსახური სამსახურად არ გვეთვლება, კრებებზე სიტყვის უფლება არა გვაქვს და სასყიდელსაც ორ-ორ გროშს ვიღებთო. სამართლიანად იცნო კრების უმეტესობამ მათი მოთხოვნილება და დასკვნა იშუამდგომლოს—მიეცეთ მედავითნეებს კრებებზე დასწრებისა და სიტყვის უფლება, ჩაეთვალოთ ნამსახურობა სამსახურში და მათ შორის წერა-კითხვის მცოდნეთ და საბუთების შედგენის მცოდნეთ მიეცეთ მესამედი შემოსავლისა—უცოდინართ—მეოთხედი.

სხვა საერო სასწავლებლებთან ამ ჟამად სასულიერო სასწავლებლებიც დახურულია. მაგრამ ისეთი რე-

შობილ თანამგზავრს. თუ ამ ჩვენ „ვითომ და დამცველთ“ ჩვენი მეგობრობა უნდათ, ჩვენი საერთო საქმის სამსახური სწყურიათ, ჩვენ გვკითხონ, როგორ გვესმის ეს საერთო სამსახური, რაგვარ დაცვას და მეგობრობას მოვითხოვთ მათგან. პირველი ჩვენი მოთხოვნილებაა—ამ ახალგაზდებმა იარაღის ტარებაზე ხელი აიღონ, დაუბრუნდნენ კეთილ, პატიოსან შრომას, გახდნენ ჩვენთვის სასარგებლო მეზობლები, ჩვენი საერთო კავშირის ერთგული დამცველები. მოვითხოვთ აქვე, ამ კრებაზე დამსწრე ახალგაზდა კაცები, რომელნიც ამ ჩვენ შემარცხვენელ წრეს ეკუთვნიან, გამოვიდნენ წინ და აქვე, საჯაროდ გამოაცხადონ, სურთ თუ არა ჩვენი მეგობრობა, ჩვენი ძმობა და საერთო საქმეში ჩაბმა. გამოგვიცხადონ საჯაროდ, რომ იარაღზე ხელს იღებენ, გლეხი კაცის პატიოსან შრომას უბრუნდებიან, პირობა დასდვან, რომ ჩვენ საერთო საქმეს არ უღალატებენ და ვაპატიებთ ყველა ჩადენილ შეცოდებას, ძმურის გრძნობით მივიღებთ ისევ ჩვენ წრეში. თუ არა და იცოდნენ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენ მათთან საერთო არაფერი გვაქვს, უარვყოფთ მათთან კავშირს, მეზობლობას, ძმობას, ვთხოვთ მოგვშორდნენ თავიდან, დასტოვონ სამუდამოდ ჩვენი სოფელი, ჩვენი ქვეყანა, რადგან მათი მოქმედება ჩირქსა გვცხებს ქვეყნის თვალში, სამუდამოდ სახელს გვიტეხს საზოგადოებაში. მაშ კიდევ ვიმეორებთ, გამოვიდნენ წინ ჩვენგან აღნიშნული ახალგაზდები და საჯაროდ გვამცნონ, სურთ ჩვენთან ძმობა-ერთობა თუ არა.“

ასე დაასრულა სახალხო ორატორმა თავისი სიტყვა. ხალხმა ერთ-ხმად, ერთ-სულად თანაგრძნობა გამოუცხადა სიტყვის წარმომთქმელს. გაისმა საერთო ყვირილი— „გამოდით, გამოდით, თვალ-წინ დაგვენახვეთო“. ამის შემდეგ ხალხი მიჩუმდა და იცდიდა. დავინახეთ ორი ახალგაზდა კაცი, რომელნიც მჭიდროდ შეჯგუფულ ხალხში გზას იკვლევდნენ წინ გამოსასვლელად. დაინახა თუ არა ისინი, ხალხი იმ წამსვე მიიწ-მოიწია და გზა დაუცალა ამ ორ ყმაწვილ კაცს, რომელნიც გამოვიდნენ და გაჩერდნენ კრების თვალ-წინ გამოჩენილ ადგილას. უფროსი იქნებოდა ასე 25 წლის კაცი, უმცროსი-კი—18 წლის, უწვერულვაშო ახალგაზდა. ორივეს დარცხვენილობა ეხატებოდათ სახეზე და თვალს ვერ უსწორებდნენ მათ წინ მრავლად თავ-მოყრილ ხალხს. ბოლოს უფროსმა ახალგაზდამ ხმა აამაღლა და სთქვა: „მარტო ჩვენ კი არა ვართ აქა, ჩვენი ამხანაგებიც ურევიან ხალხში, რომელნიც ჩვენთან ერთად ეწეოდნენ თქვენ მიერ გაკიცხულ საქმეს. მათ სახელს აქ ვერ გავამხელთ, რადგან მტრობას დავეწამებით. სჯობს თავის ნებით გამოვიდნენ აქ ჩვენთან და ხალხს თვალ-წინ დაენახვონ“.

„გამოდით, გამოდით, არაფერს გერჩით! პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი დასჯა კი არა, თქვენი ძმობა გვინდა“—გაისმა ხალხში ყვირილი. ხალხი მიიწ-მოიწია რამდენიმე ალაგას, გზები დაცალა, რათა დანარჩენი ახალგაზდებიც გამოსულიყვნენ მათ თვალ-წინ.

მალე ხალხიდან გამოვიდა და წინად გამოსულ ამხანაგების გვერდით დადგა კიდევ ხუთი ახალგაზდა კაცი, რომელთაგან უფროსი 25 წლისა თუ იქნებოდა.

ერთი ახალგაზდა წინ წამოდგა და შესანიშნავის სიტყვით მიმართა კრებას. „ყველას კარგად გვაქვს შეგნებული, სთქვა მან, რომ უძლიერესი ჩვენი იარაღი თქვენა ხართ, აქ თავ-მოყრილი საზოგადოება და არა ის იარაღი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ. უთქვენოდ ჩვენ ვერ გავძლებით, თქვენგან მოწყვეტილნი და ათვალწუნებულნი ვერსად ვერ ვიხეირებთ. გთხოვთ მიგვიღოთ თქვენ წრეში, გვაპატიოთ, დაივიწყოთ ჩვენგან ჩადენილი ყველა ცოდვა და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ამიერიდან გავსწორდებით, თქვენი ძმობის სწორ გზას დავადგებით, ჭირში და ლხინში მუდამჟამს თქვენთან ვიქნებით“.

„გვეპატიებია, გვჯერა თქვენი პატიოსანი სიტყვა. ამიერიდან ისევ ძმობას და ერთობას გიცხადებთ!“—ერთხმად შესძახა ხალხმა.

ჩემ თვალ-წინ მოხდა შესანიშნავი მოვლენა ხალხის ცხოვრებაში, მაღალი მაგალითი იმისა, თუ როგორი კეთილი, ძმური გავლენა შეუძლია მოიპოვოს თავის უზნეო მეზობლებზე ერთობის წმინდა გრძნობით გატაცებულ ხალხს.

ი. ნაკაშიძე.

---

*) ერთი სანდო ადამიანი გვწერს, რომ ხელნაწერ დედანში „ზედგავლენის“ (влiянiе) მაგიერ „ინტრიგები“ სწერიაო.

პრესიული ზომები, როგორც წილად სასულიერო სასწავლებლებს ხვდათ, არც ერთს საერო სასწავლებელს არ ჰხვდომია. შარშან, მაგალითად, სამუდამოთ დახურეს ქუთაისის სასულიერო სემინარია; საეპარქიო ქალთა სასწავლებელი დახურეს და უფროსს კლასის ბევრი მოსწავლე გამორიცხეს, გადააყენეს ამ სასწავლებლის ზედამხედველი ქალი ნ. თავდგირიძისა; დახურეს ტფილისის სასულიერო სემინარია და გამორიცხეს უმრავლესობა ქართველ-მოწაფეთა უფროსს კლასებისა; შესწყდა სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და გამორიცხეს აქაც 27 მოწაფე. მოწაფეთა გაფიცვა ყველგან იყო, არის დღესაც თითქმის ყველა საერო სასწავლებელში, და ასეთის სასტიკის ზომებისათვის არსად არ მიუმართავთ. ყოველ ამისათვის აღვძრათ შუამდგომლობა... რაღა ჩვენი სასწავლებლები შეიქმნენ ასეთ უკუღმართ ვარსკვლავზე გაჩენილნიო, რა დავაშავეთ ჩვენ, ჩვენმა შვილებმა ისეთი, რომ ერთ და იმავე საქმისათვის სხვებს ჩვენთან შედარებით უფრო სამართლიანად ეპყრობიან, ჩვენ-კი და ჩვენს შვილებს გზას ულობავენ. რა დაბალი ღობე ჩვენა გვნახესო და სხვა-და-სხვ...

წაიკითხეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ერთის რევიზორის ოქმი. ბევრის მხრით შესანიშნავია ბატონის რევიზორის ღრმა პედაგოგიური მოსაზრებანი და დასკვნანი, მაგრამ კრებას სიცილადაც არა ჰყოფნია ერთი უდიდესი ჭეშმარიტება, რომელიც ნათელს ჰფენს ოქმის საბუთებსა და უეჭველს მოსაზრებათ. აი, ეგ დიდებული აზრიც: „სწავლება ყველა საგნებისა მასთან ქართულის ენისაც შემოღებულ იქმნას რუსულ ენაზე“... ეს ისეთი თავ-სამტვრევი ჭეშმარიტებაა, რომ ჩემდა-თავად აქ ვერას გავაკვლევ. წარჩინებულ პედაგოგთათვის მიმინდვია იმის გარკვევა, თუ რა მეთოდით შეიძლება ერთი ენის მეორე ენაზე სწავლება. ამ საგანზე კრებამ დაადგინა დავთარი (ჟურნალი) და შესაფერის ეპიტეტებით შეამკო ბატონ რევიზორის ოქმი.

არსებულს დაწყობილებას საქმისას, დღევანდელს ჭირ-ვარამს რო ამისთანა რამეებიც ზედ დაერთვის—ეს იმასა ჰგავს, რომ ცეცხლს ნავთი მიასხა. დავხუროთ სულ სასწავლებლები, რომელნიც უმეტეს წილ ჩვენის ნაოფლარით ინახებაო, დავხუროთ, სანამ უკეთესი დრო არ დადგომია ამ სასწავლებლებსაო... აქ ერთმა მოძღვარმა სამართლიანად შენიშნა, რად გაიძახით—დავხუროთ, დავხუროთო, ან თუნდა გავხსნათო. როგორც რო დახურვა და სწავლის შეწყვეტა არ უკითხავთ თქვენთვის, ისე არც სწავლის დაწყებას მოგაკითხვენო. ეგ თვით მოწაფეების საქმეა... ვერ გაუძლეს დღევანდელს გარემოებაში ჩამდგარს სწავლის საქმეს—შეწყვიტეს სწავლა, გამოიცვლება გარემოება და განაგრძობენ სწავლას, დაუბრუნდებიან სკოლას. ასე ხდება საერო სკოლებშიაც და ასევე მოიქცევიან სასულიერო სკოლების მოწაფენიც... ბარემ ბევრს ეცადნენ ზოგიერთი მამები და მთავრობაც, მაგრამ ბავშვები თუ-კი არ მივლენ, ცალიერ კედლებსა და „პარტებს“ ხო არ მისცემენ გაკვეთილებს. თქვენ სხვა ბრძანეთ რამეო.

და ეგ სხვაც ის იყო, რომ იმერეთის სამღვდელოებას დეპოზიტად ჰქონია რვაასი თუმანი, ათას ხუთას თუმნამდე ქალთა საეპარქიო სასწავლებლისათვის პანსიონის გასაღებად ჰქონია თავ-მოყრილი, ისე რაღაც სხვა თანხები და რადგან ამ ჟამად სამღვდელოება შევიწროებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, ხსენებული ფული სესხად დაუნაწილდეს სულიერ მამათაგან იმათ, ვინც ნივთიერად უმეტესად საჭიროებსო...

დაადგინეს აგრეთვე სრულიად კრების სახელით მადლობა განუცხადოს ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ყოფილს ზედამხედველს ნ. თავდგირიძისას, მისცენ მას ხუთასი მანეთი ნაყოფიერ შრომისათვის და იშუამდგომლონ—კვალად დაუბრუნდეს ზედამხედველობის თანამდებობა საეპარქიო სასწავლებლისა.

სანთლის ქარხანა გელათის მონასტერში გადაიტანეს. ამ საქმისათვის მცოდნე პირი მოუწვევიათ ქალაქიდან. მთელი წარმოება მონასტრის ხელში იქნება, და თუ აქამდე კერძო პირები, ხშირად ერის კაცები უძღვებოდნენ ამ საქმეს, მოგებასაც დიდს ხედავდნენ და სანთელიც არ იყო ყოველთვის რიგიანის თვისებისა—ეხლა, ამას იქით მონასტრის სულიერი მამანი იქნებიან საბუთი, რომ ეს საქმე უკეთაც წავიდეს და თუ-კი მოგება დარჩება რამ—სჯობს გელათის მონასტერმა მოიგოსო... სულიერი მამანი უფრო წმიდადაც გაუძღვებიან ამ საქმეს და მოგებასაც დიდს არ გამოეკიდებიანო..

ერთს უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარემ განუცხადა კრებას, თუ რამდენად საჭიროა, რომ სამღვდელოებას გვქონდეს ჩვენი ორგანო. ბევრ ბრალსა გვდებენო, სთქვეს სხვათაც, ცილს გვწამებენ და თავი კი არსად შეგვიძლიან გავიმართლოთ, გამოვაქვეყნოთ ჩვენი ჭირი და ვარამი. საერო გაზეთები არას გვიბეჭდავენო. ვსთხოვოთ მამა ლამბაშიძეს დაგვითმოს თავისი გაზეთი „მწყემსიო“. ბლაღჩინმა ლამბაშიძემ უარი არა სთქვა თავის გაზეთის დათმობაზედ... სტამბაცა მაქვსო... დანიშნეს კომისია, რომელიც გამოიკვლევს გაზეთის „მწყემსისა“ და ამის სტამბის ღირებულობას და შეძენის პირობებს...

მარტის 22 საღამოს კრებამ ხელი მოაწერა პეტიციასა და კრების მიერ დადგენილს დავთრებს.

ამით გათავდა სულიერ მამათა კრება.

კოოპერაციები და რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოება.

არსებობისათვის ბრძოლამ და ცხოვრების გაძვირებამ თითქმის ყველა ქვეყანაში ნათლად დაანახვა მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველ ყოფილ წოდებათ შეთანხმებისა და ურთიერთ დახმარების საჭიროება. ამ აზრის შეგნება და გათვალისწინება, რასაკვირველია, იქ უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, სადაც კაპიტალმა უფრო მაგრა გაიდგა ფესვები და ცხოვრების სრული ბატონი შეიქმნა. კაპიტალისტური წეს-წყობილება დღეს ყველგან დამყარდა და, რასაკვირველია, ხალხის თვით-ცნობიერების გამოღვიძებასთან ერთად ამ წესწყობილების სუსტი მხარეები უმეტესობისთვის ცხადი შეიქნა. მხოლოდ ეს შეგნება იყო საჭირო, რომ ყველგან გაცხარებული ბრძოლა დაწყებულიყო.

ამ ბრძოლაში, თუ პირველი არა, არც უკანასკნელი ადგილი უჭირავს კოოპერაციების დაარსებას ურთიერთ დახმარების აზრით. როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ამ უკანასკნელშიც მაგალითად ინგლისი უნდა დავისახოთ, სადაც არსებობისათვის ბრძოლა უფრო გამწვავებულია და ცხოვრების პირობები რთული. კოოპერაციების სამშობლოში —ინგლისში ურთიერთ დამხმარებელთა საზოგადოებათა აღებ-მიცემა 1861 წ. 1899 წლამდის ათნახევარ მილიარდ მანათს და წმინდა შემოსავალი ერთ მილიარდს უდრიდა. ზოგიერთ ამხანაგობას თავისი საკუთარი გემებიც-კი აქვს საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვისთვის. ეს შედეგი მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ ამ საზოგადოებათა და ამხანაგობათა უმეტესი ნაწილი ხალხის ღარიბ და მშრომელ ნაწილს ეკუთვნის. ინგლისში კოოპერაციულ საზოგადოებას, რომელსაც საქონლის ნარდად შეძენა ჰქონდა აზრად 1865 წ. 72 ათასი მანათი ჰქონდა თანხად და 1,200 ათასი მანათის საქონელი გაეყიდნა, ხოლო 1900 წელს-კი იმავე საზოგადოების თანხა 9 მილიონ მანათს უდრიდა და 160 მილიონ მანათის საქონელი გაეყიდნა. ასეთ ჩინებულ მდგომარეობაში იმიტომ ამოჰყო ინგლისის კოოპერაციამ თავი, რომ მისი წევრები შეეჩვივნენ ყველაფერში მარტო თავის საკუთარ თავის იმედი ჰქონოდათ და თავისი ძალა, შეთანხმებასა და ურთიერთ დახმარებაში დაენახათ. როგორც ზეითაც გვქონდა ნათქვამი, კოოპერაციათა მნიშვნელობა და დანიშნულება ყველგან ერთნაირად არ არის შეგნებული და ყველაზე ნაკლებად კი რუსეთის იმპერიაში. მაგალითად, 1897 წელს შვეიცარიაში 15 ათას მცხოვრებელზე ერთი მოდიოდა ამგვარი მომხმარებელი საზოგადოება, დიდ ბრიტანიაში —27 ათასზე, იტალიაში—29 ათასზე, საფრანგეთში— 35 ათასზე, გერმანიაში — 38 ათასზე და რუსეთში კი, სადაც არტელების დაარსება რუსების ნაციონალურ თვისებად ითვლება, ერთი ამგვარი ამხანაგობა 417,271 მცხოვრებელზე მოდის.

ამ საერთო მიმართულებას არც ჩვენი საქართველო ჩამორჩა (კერძოდ ჩვენი ტფილისი) და აქაც ორი ამგვარი ამხანაგობა დაარსდა (მესამემ „შრომამ“ ადრე მოსჭამა თავისი წუთი სოფელი): აფიცერთა ეკონომიური და რკინის გზის მოხელეთა მომხმარებელთა საზოგადოებანი. რამდენადაც პირველ საზოგადოების საქმე კარგად მიდიოდა, მეორესი იმდენად უფრო უკან ჩამორჩა, სხვა-და-სხვა ანორმალურ და, რასაკვირველია, არა სასურველ გარემოებათა წყალობით. საქმე ბოლოს იქამდის მივიდა, რომ ხსენებულმა საზოგადოებამ რკინის გზის ლიანდაგზე განყოფილებანი დახურა და ტფილისის საწყობისა და სავაჭრო სახლის დაკეტვა დასჭირდებოდა, რომ რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ხელოსნებს თავი არ გამოედოთ და თავის გონიერ მოქმედებით და შრომით გაფუჭებულ საქმის ფეხზე წამოყენება შესაძლებელი არ შექნათ

მიმდინარე წლის 20 მარტს ხსენებულ საზოგადოების კრება იყო, რომელზედაც უპირველესად ყოვლისა ის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო—შეჩერებულ იქნას ამხანაგობის მოქმედება და მმართველობა საქმის ლიკვიდაციას შეუდგეს თუ არაო. კრებამ დაადგინა, მომხმარებელ საზოგადოების მოქმედება არ შეჩერდეს, რადგან რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა თანაგრძნობისა და მხურვალე მონაწილეობის წყალობით საქმე შეიძლება სრულიად გამოკეთდეს და რამდენსამე წელიწადში ამხანაგობა სასურველ დონეზე დადგესო, მით უმეტეს, რომ მუშების მიერ არჩეული პირები სულ თავის თავისუფალ დროს უსასყიდლოდ უთმობენ ამხანაგობის საქმეებსაო. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს რკინის გზის ხელოსანთა შეთანხმებული და გონიერი მოქმედება.

დასასრულ, რამდენიმე ცნობა არჩევნების შესახებ: გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ალექსანდროვსკი, ადლაძე, ჩარკოვსკი, ალექსეევი, მაკედონსკი, პაზით, ლენისენკო, კაპანაძე, ბატონისაშვილი და ღარიბაშვილი. მეთვალყურე კომისიის წევრებათ—კუსენიხი და კოვალსკი.

ი. პ—ვი.

* * *

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 მარტი

ამსტერდამი, 26 მარტი. „ხანდელბადი“ იუწყება ბატავიიდან, რუსის ესკადრის ნაწილი მუნტოკთანაა ახლოს და დღეს ბატავიაში ელოდებიანო. „ტელეგრაფი“ იუწყება ბატავიიდან, ჰოლანდიის ინდოეთის ნაპირებთან მყოფი ესკადრა პულიტუდიუში მივიდა, სინგაპურთან ახლოო. არავითარი ცნობა არ არსებობს იაპონელთ ესკადრის შესახებ.

ბერლინი, 28 მარტი. როგორც „ლოკალ ანცაიგერ“-ს აუწყებენ ლონდონიდან, ინგლისის საზღვაო წრეების ფიქრით როჟესტვენსკი ფრანგების ნავთ-სადგურ საიგონში მიდის, იქ გემებს შეასწორებს და ბრძოლისთვის გაემზადება, მაგრამ იაპონელების ფლოტი ეცდება, ადრე შეეტაკოს როჟესტვენსკის. ინგლისის საზღვაო დამზღვევმა საზოგადოებებმა დღეს აუწიეს დასაზღვევ პრემიებს, რადგანაც მალაკის წყლებში რუსეთის ფლოტი გაჩნდა.

ლონდონი, 28 მარტი. სინგაპურიდან აუწყებენ „დეილი მეილ“-ს, ყოველ ეჭვს გარეშეა ისა, რომ რუსების 7-მა ჯავშნოსანმა ჩაიარესო. ამას ამტკიცებს ოფიციალური მოხსენება საზღვაო მთავრობისაგან ნავთ-სადგურის უფროსისადმი და აგრეთვე ისა, რომ იაპონიის კონსული ბარქასით გავიდა ზღვაში რუსის გემების აღსანიშნავად.

გონკონგი, 28 მარტი. „დეილი-მეილ“-ს აუწყებენ ფრიად სარწმუნო წყაროებიდან, აქაურ ვაჭრებს დიდძალი სურსათი შეუკვეთეს და ეს იმას ამტკიცებს, რომ ბალტიის ესკადრის სანახშირე გემები დიეგო-გარეიოში მიდიანო.

ტოკიო, 28 მარტი. „დეილი-ტელეგრაფ“-ი იუწყება, იაპონიის მზვერავმა გემებმა ყველაზე ადრე შეამჩნიეს ბალტიის ესკადრაო. მოსალოდნელია, რომ სავაჭრო გემების მიმოსვლის საქმე დროებით აირევ-დაირევა. გაზეთები ქებით იხსენიებენ რუსეთის ფლოტს, რომელმაც აღმოსავლეთს მიაღწია. —სეულ-ფუზანზე რკინის გზის გახსნით ფუზანი დიდი ნავთსადგური გახდება. გამართავენ ახალს ნავთსადგურს. ოპოზიციის მეთაური ოკუმა ამბობს, თუმცა იაპონია ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას შეუძლიან წარუდგინოს რუსეთს ზავის პირობები, მაგრამ ის მაინც არ შესწყვეტს ომსაო. კომპეტენტური და გავლენიანი საფინანსო მოღვაწე ჰფიქრობს, იაპონიამ ორი მილიარდი იენი უნდა მოითხოვოს კონტრიბუციადო.

ჰააგა, 27 მარტი (ჰავასი). გაზეთი „ფადერლანდ“-ი შენიშნავს, არაა შემოწმებული ის ამბავი, რომ ბატავიასთან რუსეთის ესკადრა დგას; ნეიტრალიტეტი არ დარღვეულა და უსაფუძვლოა ის ფიქრი, ვითომც რუსები ჰოლანდიის კუნძულებზე დასაყრდომ ადგილს ეძებდნენო.

გოძიაძეი, 28 მარტი. დღეს 3 ს. და 40 წ. აღმოსავლეთ ფრონტზე, გირინის გზაზე ქვეითა კოლონის მოძრაობა სჩანს. აღმოჩნდნენ დასავლეთით ცალუშუსთან ცხენოსნები, ქვეითები და არტილერია. ჩვენმა მოხალისეებმა მდ. დძლიაოხეს ხეობაში გააძევეს ხუნხუზთა ბრბო; ცივი დღეებია.

სიტიაზი, 27 მარტი, დღის 10 ს. და 20 წ. დიდი შეტაკება არ მომხდარა. მტრის წინა რაზმები გვზვერავენ. პატარ-პატარა შეტაკებები ხდება. სადგური შუმაშიძი ხან იაპონელების და ხან ჩვენ ხელთ არის. ეს ორი დღეა—ქარიშხალია.

ლოძი. 28 მარტი. უცნობმა განიზრახა პოზნანსკის ფაბრიკის დირექტორის მოკვლა. ფაბრიკის ინჟენერი, ინგლისელი რედლიფი, დანითაა დაჭრილი ზურგში. ბოქაულ მატალოვიჩის აწ გარდაცვალებული მკვლელი მეჩქმე შერკერტი აღმოჩნდა.

პეტერბურგი. მეცნიერებათა აკადემიამ მოიწონა იმ კომისიის დასკვნა, რომელსაც პრინცი ოლდენბურგელი თავმჯდომარეობს და რომელიც, ხსენებულ აკადემიის მინდობილობით, იხილავს ბეჭდვითის სიტყვის თავისუფლების საკითხს; ამ კომისიამ ერთხმად დაასკვნა, მავნებელია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაო და დაადგინა, თავისი გადაწყვეტილება წარადგინოს კობეკოს კომისიაში.

მოსკოვი, 28 მარტი. იმ საზოგადოებამ, რომელიც აშენებს მოსკოვში [illegible] ინსტიტუტს ქალთათვის, ქალაქის საბჭოს ინსტიტუტის წესდების პროექტი წარუდგინა.

ტომსკი არეულობა მოხდა მცირე წლოვანთა კოლონიაში, იარაღი ჰკარეს ურიადნიკს, ესროლეს დირექტორის ბინას, ჩალეწეს შუშები კარები და ავეჯეულობა. მეთაურები დააპატიმრეს.

რომნი. მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და საზოგადოება ძლიერ აღელვებულნი არიან ალურ სასწავლებელში მომხდარ აფეთქებით შაგირდები დაითხოვეს. შესასვლელ კარებს პოლიცია ცავს. დაჭრილი შაგირდი სუმიონჩიკი საავადმყოფოში წევს. საშიშია მისი მდგომარეობა. დამნაშავენი ვერ იპოვნეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 მარტი

ტოკიო. იაპონელები ჰფიქრობენ დალნიში ახალი ნავთსადგური გამართონ და დალნის ბოლაზი სათევზაო ადგილად გადააქციონ, საცა ორასი გემი იმუშავებს.

ვაშინგტონი. ადმირალმა ტრაინმა, რომელიც ფილიპინის ესკადრას უფროსობს, ბრძანება მიიღო, დაიცვას ფილიპინის კუნძულების ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ რუსებსა და იაპონელთ საზღვაო ბრძოლა მოუხდათ.

მანილლა. ამერიკის შტატების სინგაპურელი კონსული იუწყება, 6 სამხედრო გემი სხვა გემებთან ერთად მანილლაში მიდიანო. კრეისერი „რალეი“ და ნაღმოსნები „ბარი“ და „შონუა“ სასურსათო გემთან ერთად გაგზავნეს, რათა თვალყური ადევნონ კუნძულ პალავის დასავლეთ ნაპირს და დაიცვან ამ წყლებში ნეიტრალიტეტი. ამას გარდა სამი ნაღმოსანი კიდევაა მზად გასამგზავრებლად.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრმა აღმასრულებელ კომისიას გაუგზავნა პავლოვის დეპეშის კოპიო შემდეგის შინაარსისა: „პორტ-არტურიდან მოსული ექიმი ბუნგე იუწყება, რომ პორტ-არტურში ერთი შეშლილი რუსის აფიცერი და 40 შეშლილი სალდათი იმყოფებაო. ბუნგეს აზრით, ეს შეშლილები და იმათთან მყოფი მოწყალების დანი ცალკე გემით უნდა გაიგზავნონ ჩიფუდან პირდაპირ ოდესაში.

რეველი. მუშებმა პირობა დასდეს, მაგარ სასმელების სმაზე ხელი აეღოთო.

ჯულფა. თავრიზიდან იუწყებიან, ქალაქსა და პროვინციაში ჯერ-ჯერობით სიმშვიდეა, სომხების წინააღმდეგ მღელვარება შესამჩნევად წყნარდება.

პარიზი. მინისტრ ეტიენის ქალაქ ლილში ყოფნის დროს პროკლამაციებს აბნევდნენ. პროკლამაციები მონარხისტების პარტიის მიერაა შედგენილი და ზედ ორლეანის პრინცის სურათია დახატული.

ბელგრადი. 25 ბერძნისაგან შემდგარი რაზმი სოფელ ზაგორიჩანს დაეცა სამხრეთ მაკედონიაში, მოჰკლა მღვდელი, მასწავლებელი და რამდენიმე გამოჩენილი ბოლგარი და ყველა მხრიდან ცეცხლი წაუკიდა სოფელს. დახმარება არავის გაუწევია. სოფელი სულ დაანგრიეს- ეს ამბავი გამწვავებულ ბრძოლის დაწყებად მიაჩნიათ.

ქრისტიანია. დღეს აქ მცხოვრებმა შვედებმა კრება მოახდინეს; შვეცია-ნორვეგიის უნიის საქმეზე ყველა ორატორმა ნორვეგიის სასარგებლოდ ილაპარაკა.

ალჟირი. კვირას უჯაში საფრანგეთ-მაროკოს საზღვარზე სულთანისა და პრეტენდენტის ჯარს შეტაკება მოუვიდათ. მეამბოხენი დამარცხდნენ, რადგან საფრანგეთის არტილერიამ დახმარება გაუწია სულთანის ჯარს. პრეტენდენტის ჯარს 100 კაცი მოუკლეს და ბევრი დაუჭრეს. სულთანის ჯარს—30 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 22 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅜
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	301
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	268½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	217

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

✦ გორო-ნაფტალინი ✦

სრულიად აქრობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას; ამასთან თმას ნამდვილ სახეს აძლევს.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი სააფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა. ბაქოსა და ბათუმში; რუსეთის აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ფასი 1 მან. 25 კაპ. (5—3)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 5 აპრილისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა განცხადების გაკვრის საქმე ქალაქის საგანცხადებო ბოძებზე.

ბოძების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9½-დან 2½ ს. (3—1)

СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრის ნიეს ახლოს. (წ—176—201.

კავკასიის საბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

✦ ცელულიარული გრენა ✦

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—3).

პირველი საწყობი
შეშისა
✦ გ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოვნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაყენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—27) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის
„შეჭას“

გამგეობა და სალიკვიდაციო კომისია აცხადებენ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ პაის ჩეკების გაცემა ბანკიდან ფულის მისაღებად, განაწილების თანახმად, მოხდება ამხანაგობის კანტორაში ველიამინოვის ქუჩაზე ქ-ნ ხანკალამოვის სახლში, ყოველ დღე 22 მარტიდან 15 აპრილამდე, 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. ჩეკებს მისცემენ მთხოვნელთ განცხადების შემდეგ, მეორე დღეს. იქვე იყიდება რკინის კასსა და კანტორის ხელსაწყო. (3—122—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადაიდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერის	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	—	1

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.